ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 15 – 16 თებერვალი, 2020 | №38 (8302) | ფასი: 60 თეთრი

## ადვოკატი ღურწკაია: „ბექა კვიციანს ნოდარ ცეცხლაძე არ მოუკლავს, იარაღსა და მასრაზე მისი დნმ არ ამოსულა“



გვ.5

## გაზეთს მოჰყვება პლაკატი




# „9 წელი ნაციონალები ასამართლებდნენ კრიმინალებს, ახლა 8 წელი კრიმინალები ასამართლებენ ნაციონალებს“



გვ.3

მეგი გოცირიძე: „ესენი ვის დანაშაულზე ლაპარაკობენ. რაც მოვიდნენ, სულ დანაშაულს არ ჩადიან?!“

## სერგი კაპანაძე: „ლავროვის ჩამოსვლა ვითარებას დაძაბავს“



გვ.3

## დავით ბერძენიშვილი: „თუ ლავროვს შემოუშვებენ, ბარემ არმიაც მოაყოლონ, ისე პროტესტს ვერ ჩაახშობენ“

„ევროპარლამენტმა „ოცნებას“ ყვითელი ბარათი აჩვენა, თუ ესენი ხელისუფლებაში დარჩნენ, ეს სახიფათო იქნება ქვეყნისთვის“



გვ.2



გვ.4

## გოგა ხაინდრავა: „ევროპა, რომელიც სამადაშვილისა და კახიძის ჭკუაზე დადის, გვჭირდება თუ არა, საკითხავია“

„სააკაშვილი არავისთვის საინტერესო აღარ არის“



გვ.4

## რა მოხდება თბილისის მაისის მინისტერიალზე?

უმსუბუქებს თუ არა ევროპა სანქციებს რუსეთს?

## თამარ ხულორდავა: „ევროპარლამენტში „ოცნებისადმი“ ნდობა დაზიანებულია“



გვ.2

ISSN 1987-9385

2 ბლუმბერგმა ივანიშვილს ჩრდილოვანი ბოსი უწოდა

2 რიკოთზე ობიექტი ჩამოინგრა და 3 მუშა მოიყოლა

5 მოპედისა და ველოსიპედის ქურდობაზე 1 პირი დააკავეს

6 ერაყში, აშშ-ის სამხედრო ბაზაზე, სარაკეტო თავდასხმა განხორციელდა

# დავით ბერძენიშვილი: „თუ ლავროვს შემოუშვებენ, ბარემ არმიაც მოაყოლონ, ისე პროტესტს ვერ ჩაახშობენ“

## „ევროპარლამენტმა „ოცნებას“ ყვითელი ბარათი აჩვენა, თუ ესენი ხელისუფლებაში დარჩნენ, ეს სახიფათო იქნება ქვეყნისთვის“

იაგო ნაცვლიშვილი

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე გრეგორი კარასინი აცხადებს, რომ 14-15 მაისს საქართველოს დედაქალაქ თბილისში დაგეგმილ მინისტერიალზე აუცილებლად ჩამოვა რუსეთის დელეგაცია, თუმცა კარასინს არ დაუკონკრეტებია, ვინ უხელმძღვანელებს რუსეთის დელეგაციას. ცნობილია რუსული მხარის პოზიციაც, რომელიც უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვს.

მედიაში გავრცელებული არაერთი ინფორმაციის თანახმად კი, რუსეთის დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი უხელმძღვანელებს, რომელსაც დარღვეული აქვს საქართველოს კანონი ოკუპაციის შესახებ და რომელიც პირდაპირ ასოცირებულია საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასთან.

პრესაში ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია სერგეი ლავროვს შეხვდა ამ თემებზე სასაუბროდ. მთავრობის ადმინისტრაცია ფაქტს კატეგორიულად უარყოფს, მაგრამ ქართული მხარე რამდენიმე თვის წინ საგარეო მინისტრების ლავროვისა და დავით ზალკალიანის შეხვედრასაც უარყოფდა, მაგრამ ინფორმაცია მაინც არ დაიმალა. თანაც ეს ცნობილი რუსული მხარის მიერ გახდა.



უნდა შემოუშვას თუ არა ქართულმა მხარემ ლავროვი თბილისში და რას დაუპირისპირებს საზოგადოება ამ ვიზიტს? რას ფიქრობს ევროპარლამენტში საქართველოს ხელისუფლების მწვავე კრიტიკასთან დაკავშირებით და რა მოლოდინები აქვს ამ მიმართულებით? — აღნიშნულ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი **დავით ბერძენიშვილი** საუბრობს.

***— გააქტიურდა საუბარი ლავროვის ჩამოყვანის თემაზე. როგორ აფასებთ ამ გადაწყვეტილებას და რას გამოიწვევს ეს ქვეყანაში?***

— ლავროვი არის პუტინის მთავარი პარტნიორი საქართველოს ოკუპაციის საკითხებში. 16 წელია ის რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრია და სრული თანამონაწილეა რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის, აგრესიის, ოკუპაციის თუ ანექსიისა. ჩვენმა ქვეყანამ არ უნდა შემოუშვას ლავროვი. ლავროვის შემოსვლა ნიშნავს, რომ ბარემ შემოყვეს არმიები. იმიტომ, რომ სხვანაირად შეუძლებელი იქნება ქართული პროტესტის ჩახშობა.

მე ვფიქრობ, რომ თუ ხელისუფლებას ესკალაცია არ უნდა, მაშინ მას შეუძლია, რომ ორი ვარიანტიდან ერთი აირჩიოს. ან ლავროვის რომელიმე მოადგილე შემოუშვას ქვეყანაში, საუბარი მაქვს იმ მოადგილეზე, რომელსაც არ აქვს დარღვეული საქართველოს კანონი ოკუპაციის შესახებ და არ არის აფხაზეთსა და ცხინვალში ნამყოფი ჩვენი ნებართვის გარეშე, ამით პრობლემა შერბილდება. ან კიდევ არის მეორე ვარიანტიც — როგორც რამდენჯერმე გაუკეთებია — სტრასბურში ჩაატაროს ეს შეხვედრა. არავითარი პრობლემა არ არის.

რუსეთის ოკუპაციის ერთ-ერთი ავტორის შემოსვლა საქართველოში, ბუნებრივია, იქნებოდა ოკუპაციის კიდევ უფრო გაღრმავების მცდელობა.

***— წითელი ხაზია ეს?***

— რა თქმა უნდა. ძალიან წითელი ხაზია.

***— თქვენი მოლოდინი როგორია, გაბედავს ხელისუფლება ასეთ მძიმე ნაბიჯსაც და რას დაუპირისპირებთ მას?***

— არ ვიცი. არ ვიმარჩიელებ. ახლა მგონია, რომ დაბალია ალბათობა იმისა, რომ ლავროვი აპირებდეს საქართველოში ჩამოსვლას.

***— გახარია იმყოფება მიუნხენში, ვრცელდება ინფორმაციებიც, რომ იქ შეხვდა ლავროვს და ეს საკითხები განიხილეს. მთავრობის ადმინისტრაცია ამტკიცებს, რომ შეხვედრა არ ყოფილა და არც იგეგმება. ეს დამაჯერებელია თქვენთვის იმ ფონზე, როცა ზალკალიანზეც ასე გვიმტკიცებდნენ და შემდეგ რუსული მხარისგან გავიგეთ?***

— არ დაიმალება ეს. ის ფაქტი, რომ გახარია მიუნხენში წავიდა, ეს სწორი გადაწყვეტილებაა. იმიტომ, რომ იქ იმართება უზარმაზარი მნიშვნელობის კონფერენცია. ქართული საზოგადოების ზურგს უკან შეხვედრა და შეხვედრის შინაარსი ვერ დაიმალება. ეს გამორიცხული ამბავია.

***— ევროპარლამენტში 13 თებერვლის***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# თამარ ხულორდავა: „ევროპარლამენტში „ოცნებისადმი“ ნდობა დაზიანებულია“

— რეზოლუციის ვერ მიღება კარგი ნამდვილად არაა ჩვენი ქვეყნისთვის, ეს ნიშნავს იმას, რომ ურთიერთობაში არსებობს სერიოზული პრობლემები.

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის დამოუკიდებელმა დეპუტატმა თამარ ხულორდავამ განაცხადა.

როგორც მან ჟურნალისტებთან აღნიშნა, ის უაღრესად პოზიტიური განწყობა, რომელიც ევროპარლამენტში საქართველოს მიმართ არსებობდა, ამჯერად, სამწუხაროდ, ძალიან შერყეულია.

— ასოცირების საპარლამენტო კომიტეტი არის ძალიან მნიშვნელოვანი და ყველაზე მთავარი თანამშრომლობის პლატფორმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის, საპარლამენტო ნაწილში. ერთობლივ დოკუმენტში ფასდება და ჯამდება ქვეყნის პროგრესი ევროპული ინტეგრაციის გზაზე და აისახება ის შენიშვნები თუ კრიტიკა, რაც იმ პერიოდში საქართველო—ევროკავშირის ურთიერთობაშია აქტუალური.

რეზოლუციის ვერმიღება კარგი ნამდვილად არაა ჩვენი ქვეყნისთვის. ეს ნიშნავს იმას, რომ ურთიერთობაში არსებობს სერიოზული პრობლემები და ჩვენ არ გვაქვს ფუფუნება ევროკავშირთან ურთიერთობაში გვქონდეს გადაუწყვეტელი და მოუგვარებელი პრობლემები. ეს არაა კარგი ქვეყნისთვის.

რეზოლუციაში ზოგადად ძალიან დადებითი რაღაცები აისახება ხოლმე. ის კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც ჰქონდათ ევროპარლამენტარებს და აქვს საქართველოს საზოგადოების ნაწილს, და რომელიც აისახება ოპოზიციური სპექტრის განცხადებებში, სამოქალაქო საზოგადოების, აქტივისტების განცხადებებში, ასეთი სიმწვავით მათი ასახვა ამ განცხადებაში არ მოხდა და იმის გამო, რომ უმრავლესობის წარმომადგენლებმა არ დაუჭირეს მხარი ცვლილებებს, რომელიც გარკვეულწილად კრიტიკული იყო სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, ევროპარლამენტმა არ დაუჭირა მხარი საბოლოო რეზოლუციის მიღებას.



ეს მოწმობს იმას, რომ არსებობს სერიოზული გადაუწყვეტელი, მოუგვარებელი საკითხები ჩვენსა და ევროპარლამენტის ურთიერთობაში, — განაცხადა ხულორდავამ.

მისივე თქმით, ახლა ერთმანეთისკენ ხელის გაშვერისა და გადაბრალების დრო არაა.

— ამის ნაცვლად ყველა უნდა ვფიქრობდეთ გამოსავალზე, რაც ჩვენს ქვეყანას წაადგება და არ დააზარალებს საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას. ოპოზიციას სხვა დროსაც, სხვა შემთხვევებშიც, წინა საპარლამენტო ასოცირების კომიტეტების დროს, ჰქონდა ისეთი მცდელობები, რომ ჩაეგდო ანგარიშები, რომ არ ყოფილიყო ასეთი საბოლოო შეთანხმებული ტექსტის მიღება, მაგრამ ეს არც ერთხელ არ მომხდარა. სწორედ იმიტომ, რომ ხელისუფლებას ადეკვატური ხედვა ჰქონდა, სწორი მიმართულებით მიდიოდა და ეს ასევე იყო შეფასებული და დანახული. სამწუხაროდ, ამჯერად ეს ასე არ იყო და ის უაღრესად პოზიტიური განწყობა, რომელიც საქართველოს მიმართ არსებობდა ევროპარლამენტში ამჯერად, სამწუხაროდ, ძალიან შერყეულია.

ძირითადი პრობლემა არის ის, რომ ნდობა არის დაზიანებული მმართველი გუნდის მიმართ, — განაცხადა ხულორდავამ.

# გიორგი გახარია მიუნხენში ფატი ბენსუდას შეხვდა

მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა ფატუ ბენსუდამ 2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე მიმდინარე გამოძიებაზე ისაუბრეს.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, საუბრისას აღინიშნა ქართული მხარის ნაყოფიერი თანამშრომლობა პროკურორის ოფისთან, რათა დეტალურად იყოს



გამოძიებული ქართული მხარისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრიორიტეტები, როგორებიცაა ქართველების ეთნიკური წმენდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, ქართველი სამხედრო ტყვეების წამება და წამების შედეგად დამდგარი სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა აღნიშნა გამოძიებაში არსებული პროგრესი და ყურადღება გაამახვილა იმ ძალიან დიდ ძალისხმევაზე, რომლის გაწევაც მის გამომძიებლებს უხდებათ, რათა გამოძიება კიდევ უფრო ნაყოფიერად და სწრაფი ტემპით წარიმართოს.

ქართულმა მხარემ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაადასტურა მზადყოფნა, მომავალშიც განაგრძოს პროკურორის ოფისთან თანამშრომლობა და ხელი შეუწყოს მას აგვისტოს ომის დროს ეთნიკური ქართველების უფლებების მასობრივი დარღვევის ფაქტების წარმატებით გამოძიების პროცესში.

შეხვედრას საქართველოს ვიცე-პრემიერი, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებში ირაკლი ჩიქოვანი დაესწრნენ.

# რიკოთზე ობიექტი ჩამოინგრა და 3 მუშა მოიყოლა

14 თებერვალს რიკოთის საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობაზე სამუშაო ობიექტი ჩამოინგრა და სამი მუშა მოიყოლა.

ამის შესახებ ინფორმაციას რკინიგზელთა ახალი პროფკავშირი ავრცელებს.

მისივე ცნობით, ორი მუშა მსუბუქად დაშავდა, ერთის გადაყვანა გახდა საჭირო.



„დღეს დილით, რიკოთის საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობაზე, რომელსაც ჩინური კომპანია აწარმოებს, სამუშაო ობიექტის სახურავის ნაწილი ჩამოინგრა. ნგრევაში დასაქმებულები მოჰყვნენ, მათგან ერთი მსუბუქად დაშავდა, ხოლო ერთი დაშავებული ქუთაისის რეფერარულ საავადმყოფოშია გადაყვანილი“ — ნათქვამია ინფორმაციაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაშავებულია მხოლოდ 1 მუშა. გამოძიება 240-ე მუხლით მიმდინარეობს.

# ბლუმბერგმა ივანიშვილს ჩრდილოვანი ბოსი უწოდა

გავლენიანი გამოცემა ბლუმბერგი „ქართული ოცნების“ მიერ ლობისტური კომპანიის დაქირავების თაობაზე სტატიას აქვეყნებს, სადაც ბიძინა ივანიშვილს „ჩრდილოვან ბოსად“ მოიხსენიებს.



გამოცემის ცნობით, ივანიშვილს ლობისტური კომპანიის დაქირავება კონგრესმენების ბოლოდროინდელმა წერილებმა აიძულა. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ქვეყანა ავტორიტარიზმისკენ გადაიხარა.

ბლუმბერგის ინფორმაციით, დაქირავებული ლობისტები ძირითადად სწორედ „ქართული ოცნების“ მითითებებით იმუშავებენ.

— ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. თავდაპირველად, თავად ივანიშვილია პასუხისმგებელი საქართველოს რეგრესისთვის, რომელიც რეპრესიებში გადაიზარდა. საქართველომ რამდენიმე პრემიერ-მინისტრი გამოიცვალა, რომლებიც ივანიშვილის კონტროლის ეფექტურ კონსოლიდაციას ახორციელებდნენ და ამ ბოლო დროს ივანიშვილი ოპოზიციის დაშინებასა და დაპატიმრებაზეც გადავიდა. ამის უკანასკნელი მაგალითია ის, რომ ორშაბათს უზენაესმა სასამართლომ თბილისის ყოფილ მერს, გიგი უგულავას 3-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა დანაშაულისთვის, რომელზეც ის დაპატიმრებული უკვე იყო, — ნათქვამია პუბლიკაციაში.

ბლუმბერგის ინფორმაციით, ლობისტ ქოულმანს რთული საქმე აქვს. იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ს ავტორიტარული პარტიორები ჰყავს, მაგალითად, ისეთი, როგორც საუდის არაბეთია, შესაძლოა იმ თემის განხილვა, რომ ამერიკა სტრატეგიული მიზნების გამო ბევრის მომთმენია, მაგრამ საქართველოს ჰქონდა შესაძლებლობა, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში ვაშინგტონთან უფრო ახლო ურთიერთობა დაემყარებინა კანონის უზენაესობის დაცვითა და სამართლიანი არჩევნების ჩატარებით.

— ქოულმანის ახალი კლიენტი, სამწუხაროდ, სულ სხვა მხარეს არის. ამას ვერანაირი ფული ვერ შეცვლის, — წერს გამოცემა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 294-02-55
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „9 წელი ნაციონალები ასამართლებდნენ კრიმინალებს, ახლა 8 წელი კრიმინალები ასამართლებენ ნაციონალებს“

## მეგი გოცირიძე: „ესენი ვის დანაშაულზე ლაპარაკობენ. რაც მოვიდნენ, სულ დანაშაულს არ ჩადიან?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **მეგი გოცირიძე** პასუხობს.

***– პროკურატურა ნიკა მელიასთვის 7-დან 10 წლამდე პატიმრობას ითხოვს. როგორია თქვენი პოზიცია?***

– 15 კაცამდე იყო პასუხისგებაში მიცემული ქართუ ბანკის გაკოტრებასთან დაკავშირებით და, გარდა ნიკა მელიასი, ყველას მოეხსნა ბრალდება, მათ შორის, ირაკლი შიხიაშვილს, რომელიც იყო იმდროინდელი საკრებულოს თავმჯდომარე. ყველას მოეხსნა, როგორც კი თანამშრომლობა დაიწყეს „ქართულ ოცნებასთან“. დარჩა მხოლოდ ნიკა მელია! ეს რასაც ემსახურება, გასაგებია. რა, „ოცნებაში“ ნაკლები დამნაშავეები არიან?!

***– კერძოდ, ვის გულისხმობთ?***

– დარჩა ვინმე, ვისაც დანაშაული არ ჰქონდეს ჩადენილი?! უსუფაშვილით დავიწყოთ, პარლამენტის თავმჯდომარე რომ იყო, ყველას გვახსოვს, ამ ცოლ-ქმარმა ორი ახალგაზრდის სიცოცხლე რომ შეიწირა. ასევე დავით უსუფაშვილს უკავშირდება მუშის გარდაცვალება. კალაძის ესკორტს უკავშირდება ადამიანის გარდაცვალება, ასევე გუგული მაღრაძეს. სოზარ სუბარმა რომ კაცი მოკლა...

***– მან თუ მისმა მძღოლმა?***

– სოზარ სუბარმა! ზუსტად, სიტყვასიტყვით მახსოვს, რა ხდებოდა ამასთან დაკავშირებით. სამტრედია-აბაშის გზაზე მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა და მინისტრ სუბარის ავტომობილი შეეჯახა ტაქსისტს. ავტოავარიის შედეგად 68 წლის ემზარ ხონელიძე გარდაიცვალა.

მომხდარი ფაქტი სოზარ სუბარმაც კი ვერ უარყო, რადგან უამრავი თვითმხილველის თვალწინ მოხდა ეს შემთხვევა. უგონოდ მთვრალი მართავდა საჭეს მინისტრი სუბარი. ეს უბედურება ვერ დამალეს უბრალოდ და ვერც ოჯახი მოისყიდეს. საკუთარ ფეისბუქგვერდზე მწუხარებას გამოთქვამდა მინისტრი და უთანაგრძნობდა გარდაცვლილის ოჯახს. იქვე მისი მეუღლე წერდა: უბედურება დაგვატყდა თავს, არავინ ვართ შემთხვევისგან დაზღვეული. დედაჩემის სახელთან ერთად მის სახელსაც ყოველთვის მოვიხსენიებ ლოცვაშიო. მინისტრის ცოლი წერდა ამას.

***– საქმე აღიძრა ამ ფაქტზე?***

– აღძრეს. შსს-მ გამოძიება 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობდა შემდეგს: ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევა მის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავდა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით 4-დან 7 წლამდე!

მე მაინტერესებს, ელის თუ არა სოზარ სუბარს 4-დან 7 წლამდე პატიმრობა? მე მაინტერესებს, ქართუ ბანკის გაკოტრების სქემა უფრო მნიშვნელოვანია? თან მაშინ, როცა მხოლოდ მელიას უტოვებენ ამას და თან ამდენი წელი გავიდა და რას იძიებენ, კაცმა არ იცის. თურმე მარტო მელიამ გააკოტრა ქართუ ბანკი.

***– ანუ ცდილობენ, ყველა ძლიერი ოპოზიციური ლიდერი ჩამოიშორონ?***

– რა თქმა უნდა, მაგრამ მარტო ლიდერი ხომ არ არის პოლიტიკა?! იმ მილიონ ადამიანს რას უშვრებიან, ვინც „ოცნების“ წინააღმდეგ მისცა ხმა, ყველას დაიჭერენ?!

მარგველაშვილი რომ გამოდის ახლა შეწუხებული სახით, პოლიტიკაში რომ იყო, რა გააკეთა?! მე მგონი, მარტო ბავშვები, მეტი მაგის გაკეთებული არაფერი გვინახავს! მაგან არ შეიწყალა მაკა ჩიჩუას კრიმინალი ძმა, რომელიც პირველად გასამართლებული იყო ნარკოტიკების მოხმარებისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის?! 2-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი და 3 ათას ლარიანი ჯარიმა. ასევე მეორედ იყო დაპატიმრებული კვლავ ნარკოტიკების მოხმარებისთვის და 277-ე მუხლით იყო გასამართლებული. მიუსაჯეს 2 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც, საპროცესო შეთანხმებით, 3-წლიანი პირობითით და 2 ათას ლარიანი ჯარიმით შეეცვალა.

შემდეგში უკვე 2011-ში, 4 მაისს, ძალიან კარგად მახსოვს, ჯგუფურად, განზრახ მკვლელობისთვის 109-ე მუხლის მეორე ნაწილით გაასამართლეს. მიუსაჯეს 17 წლით პატიმრობა. ამ პლასტილინმა პრეზიდენტმა ეს კრიმინალი ცოლისძმა გამოუშვა და ისე წავიდა, ერთი განცხადებაც არ გაუკეთებია არც ჩვენს სამხედრო ტყვეებზე, რომლებიც ციხეში არიან. ეს ბიჭები ჩატოვა ციხეში და ვინ გამოუშვა?!

***– იქით მიანიშნებთ, რომ „ოცნების“ ხელისუფლებამ ბევრი დანაშაული ჩაიდინა?***

– ესენი ვის დანაშაულზე ლაპარაკობენ. რაც მოვიდნენ, სულ დანაშაულს არ ჩადიან?! ჯერ კრიმინალებმა რამდენი პოლიციელი მოგვიკლეს ქუჩებში. რამდენი პატიმარი მოკვდა ციხეში, ასევე კარგად გვახსოვს ციხეში წულუკიანის დაკვეთით დაბმული პატიმრები.

ჩვენ არაფერი გვავიწყდება. ამდენი გადამწვარი ბაზრობა, ბავშვთა სამყარო! ბიძინა ივანიშვილის საკუთრებაში მყოფ ატუს მიერ გაჩანაგებული შაორის ტყე. მთელ საქართველოში ატუმ გააჩანაგა ტყეები და არა მარტო ტყეები. ასევე მიწისაგან პირისა აღგვილი საყდრისი. ივანიშვილმა, პრემიერობის დროს, საკუთარ



კომპანიას მიანიჭა ლიცენზია, პირადი გადაწყვეტილებით. კომპანია ატუს მიანიჭა სრული უფლება გაჩეხაზე. საქართველოში არ დარჩენილა ბაზრობა, რომელიც არ გადაწვეს. ბავშვთა სამყარო რომ გადაწვეს, პირდაპირ წერია ექსპერტიზის დასკვნაში, ბენზინი იყო დასხმულიო. კაციშვილი არ იძიებს! ვინ დაასხა ის ბენზინი?!

***– იყო ვარაუდი, რომ იქ სავაჭრო ცენტრის აშენება უნდოდათ.***

– კარფური უნდა აეშენებინათ მანდ, მაგრამ იმხელა ამბავი ატყდა ამაზე, რომ ჩაეშალათ ეს გეგმა. ჯაშუშებისა და პედოფილების შეწყალებაში აღებული მილიონები არ ახსოვთ?! კოკაინის ბარიგები შეიწყალა ბესელიამ.

***– დღეს ბესელია ოპოზიციაშია.***

– საერთოდ არ მაინტერესებს, დღეს სად არის და რა პოზიციაზეა, გამოაგდეს „ოცნებიდან“. იცით, რა არის? იმიტომ კი არ ატეხა ბესელიამ ამბავი, რომ ჩამოაქვეითეს და გამოაგდეს.

***– აბა რატომ?***

– რომ გაუსკდა ბესელიას საქმე, რომ ბიძინას გვერდის ავლით აკეთებდა მილიონებს, იმიტომ მოხდა ეს ამბები. მთელი ფოთი გადაჭმული ჰქონდა. მაგისი კრიმინალი შვილი ვინმეს დაავიწყდა?! მე არ მავიწყდება არაფერი! ანუ ბესელიას შვილი, როცა ის ბესელიობდა, იყო ხელშეუხებელი. ყველამ ვნახეთ კადრები, საძილე არტერიაში ჩაარტყა პირდაპირ ჩანგალი ფოთში მაღალჩინოსანს! რა, ამ ყველაფერს არა უშავს?!

ან კიდევ მანანა კობახიძე რომ მოსამართლედ გაუშვეს. დაგავიწყდათ მაგისი გამომძალველი ძმა?! დასაქმების სანაცვლოდ, „ოცნების“ აქტივისტებს ფულს სძალავდა და ხელფასის წილში უჯდებოდა. კოკაინის ბარიგებს მფარველობდა მანანა კობახიძე და დღეს მოსამართლეა, წარმოგიდგენიათ?! ეს მარაზმია. ან ეს სახედაკარგული უსუფაშვილი.

***– უსუფაშვილი ოპოზიციაშია დღეს.***

– არ მაინტერესებს, სად არიან! სწორედ მაგის ხელმოწერილია ის დოკუმენტი, პედოფილები, ჩატაევები და ჩახალიანები რომ გამოუშვეს ციხიდან. მაშინ ქუთაისში იყო პარლამენტი, აქ საკომიტეტო მოსმენებისთვის მოიწყვეს ოთახები და მარტო ფარდების შესაძენად დიდი ფული აქვს გამოყოფილი. რა, ეს არ არის გაფლანგვა და 7 პიჯაკია გაფლანგვა?!

***– ანუ შერჩევითი სამართალია ქვეყანაში?***

– რა თქმა უნდა! 9 წელი კრიმინალებს ასამართლებდა ნაციონალური ხელისუფლება. დღეს, უკვე 8 წელია, კრიმინალები ასამართლებენ ნაციონალურ მოძრაობას. აი, ამაშია საქმე.

ვინმეს ხომ არ დაავიწყდა მერაბიშვილის გაყვანის ფაქტი?! რატომ გაიყვანეს მერაბიშვილი? მარტო ერთი სიტყვა უნდა ეთქვა მიშაზე და იქვე დაიხურებოდა მაგის საქმე. გამოვიდოდა და იცხოვრებდა ბედნიერად, როგორც მისი მოადგილე, გამყიდველი, გარეწარი მესხელი, ისე იქნებოდა ვანოც ხელშეუხებელი და კუნძულზე იცხოვრებდა.

ან ბაჩო ახალაია რისთვის ჰყავთ ციხეში. წიწაკის სროლაზე, კომბოსტოს სროლაზეო, 13 უაზრო ბრალდება იყო მის მიმართ. 13-ვე საქმეზე მოუხსნეს და რა დაუტოვეს ბოლოს?! გარეწარი ბედუკაძე, რომელიც თვითონ აწამებდა, თვითონ აუპატიურებდა და თვითონვე იღებდა. სხვა არავინ არსებობს ბუნებაში ამ საქმეზე და სწორედ ბედუკაძეა მოწმე ბაჩო ახალაიას საქმეში. თეთრაძის წამების საქმეში მწამებელი ეუბნება ვიღაცას, დიახ, ბოსო და ეს ბოსი იყო ბაჩო ახალაიაო და აი, ამაზე აქვს წაყენებული ბრალი!

***– დააკავეს უგულავა, პატიმრობა ემუქრება ნიკა მელიას. ამბობენ, რომ ხაზარაძესაც დაიჭერენ...***

– გაწყვეტინებ, ხაზარაძეს რაც შეეხება, შარშან არ იყო არჩევნები და გარეწარ, გამყიდველ და ყოვლად უზნეო ქალს, სალომე ზურაბიშვილს, ასე ღიად რომ გამოვიდა და პირდაპირ მხარი დაუჭირა, ხაზარაძე არ იყო ეს?! მოღალატე პრეზიდენტის მხარდასაჭერად მოუწოდა ადამიანებს. ახლა კი გამოდის და ამბობს, ივანიშვილს საქართველო შეჰყავს რუსეთში და ამიტომ ვარ მისი წინააღმდეგიო. მიშას დროს რომ ჩაიქცა და ახლა, როგორც თავად ყვება, მარტო ზარალზე რომ მიდიოდა და აკოტრებდა ბიძინა. ის 600 ათასიც, ხალხს რომ უთხრა, ჩამოგაწერთ ვალებსო, ეგეც ხაზარაძეს შეტენა. გამოდის და ამ ყველაფერს ახლა ამბობს ხაზარაძე! ასეთ ადამიანს მე როგორ ვენდო, ასეთ ადამიანს, როგორ შეიძლება, ანდო ქვეყანა?!

***– სწორედ ამის კითხვა მინდოდა, მეგი და არ დამასრულებინეთ. როდესაც ოპოზიციაც ასე ჭრელია, ვერ გაიგებ, ვის რა უნდა. ამ ფონზე რამდენად გამოვა ეს ერთობა? ჩვენ მიხეილ სააკაშვილის განცხადებაც მოვისმინეთ შტაბის შექმნის თაობაზე და ამან ბევრი გააღიზიანა ოპოზიციაში.***

– ყველამ მიხედოს თავის პარტიასა და თავის თავს! სააკაშვილი რას იტყვის, რას გააკეთებს და რა ფორმით ჩაერთვება, ეს არის პირადად მისი გადაწყვეტილება და ამაში ხელს ვერავინ შეუშლის, ეს ერთი და მეორეც, მიუხედავად ჩემი პოზიციებისა, თუ ვისზე რას ვფიქრობ ოპოზიციაში, აუცილებელია, რომ ოპოზიციურმა ლიდერებმა მოახერხონ ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატის სრული მობილიზება!

ძალიან ბევრი ამბობს, ჩვენ არჩევნებით არ წავალთო. ეს არის ძალიან არასწორი მიდგომა. რა, არჩევნების პირველი ტური არ მოვიგეთ?! უბრალოდ, ბაქრაძეს რომ არ დაეყენებინა ცალკე თავისი კანდიდატურა, ჯამში, ოპოზიციური ხმები ბევრად აღემატებოდა ხელისუფლების ხმებს.

***– კიდევ ხომ არ დადგება ეს საფრთხე, რომ ივანიშვილმა იმუშაოს ოპოზიციურ ლიდერებთან და დაქსაქსოს ხმები? გვესმის საუბრები, რომ უკვე დაიწყო მილიონების დარიგება პარტიებისთვის. მოისყიდის ოპოზიციას?***

– თუ არ ვისაუბრებთ გირჩზე, რომელიც გაურკვეველი წარმონაქმნია და საერთოდ არ მაინტერესებს, ამ გაერთიანებულ ოპოზიციაში არავინაა ისეთი, ვისაც ივანიშვილი მოისყიდის. ადამიანის ასე დეგრადირება, რა დონეზეც ახლა ჯაფარიძეა, არ ვიცი, სხვა არ მსმენია.

სხვისგან ეს პრაქტიკულად წარმოუდგენელია. ეს ხომ არ არის გრეჩიხების დროინდელი საქართველო და ოპოზიცია, არა?! თვითონ ქეისებით ფული გამოიტანა და ხალხი კიდევ გაუშვა, წავიდეთ, 100 გრამი ჩავკრათო. ვისი მოსყიდვაც ივანიშვილს შეეძლო, ის თავიდანვე მოისყიდა. მერე დაშალა ისინი და პანჩურით გამოყარა. თავიდან დაურიგა მილიონები და შემოიკრიბა ერთკაციანი პარტიები, ვითომ, აი, ყველა ერთის წინააღმდეგო და ვინ ერთის წინააღმდეგ, ქვეყანა ვინც ააშენა?! გირგვლიანი და რობაქიძეო და მიშა რა შუაშია საერთოდ ამ საქმეებთან, დღეს რომ ყველაფერს მას აბრალებენ.

***– ის იყო სახელმწიფოს მეთაური, პირველი პირი.***

– კი, ის იყო პირველი პირი და ყველაფერი ცუდიც და კარგიც მას დაჰბრალდა. კბილაშვილმა თავად თქვა, საქმე არ არის გადაკვალიფიცირებული, მკვლელობა არ არსებობსო. ამ საქმით მოვიდნენ და პირდაპირ თქვეს, რომ არ ყოფილიყო გირგვლიანი და ბუტა რობაქიძის საქმეები, ჩვენ ვერ მოვიდოდითო. მითხრან გვარი და სახელი, ვინ მოკლა გირგვლიანი?! ვიცით სახელი და გვარი? მკვლელი ბუნებაში არ არსებობს! ჩვენ კარგად ვიცით, როგორც მოხდა ეს უბედურება, რომ გაიქცა და გადავარდა და ეს თქვა კბილაშვილმაც.

***– ძალიან ბევრი დაგიპირისპირდებათ ამ განცხადებების გამო.***

– კი ბატონო, შესაძლოა, ძალიან ბევრი ჩემ მიმართ ცუდად განეწყოს, ამას რომ წაიკითხავს, მაგრამ ეს იყო სუფთა „გრუზინული რაზბორკა“. აიყვანეს სასაფლაოზე და გაურჩიეს საქმე. ეს იყო ქუჩური საქმის გარჩევა.

დიახ, როდესაც გამოდიხარ შენ, ხელისუფლება და აცხადებ, რომ ქურდულ მენტალიტეტს ებრძვი, არ გაქვს უფლება, ასე ქუჩურად გაურჩიო. ამისთვის არსებობს სამართლებრივი გზები.

კარგი, დავანებოთ ამ ამბებს თავი. საწყალი ირინა ენუქიძე ისე მოკვდა, ბოლო წუთამდე პირზე ეკერა, დაისაჯოს მურუსიძე, დაისაჯოს მელნიკოვიო! ამათ კი მელნიკოვი სასამართლო დარბაზიდან გაუშვეს! მურუსიძე კი ვნახეთ, როგორ დააწინაურეს და დღეს ამბობს, მე ვარ მორალი და ზნეობაო.

ესენი ირინა ენუქიძესა და გირგვლიანს რომ ახსენებენ, სურვილი მიჩნდება, რომ ყველაფერი დავმართო. ესენი არიან ზნედაცემული გარეწრები და გარყვნილები! რამდენი გირგვლიანი მოკლა ამ ხელისუფლებამ, რამდენი?! საერთოდ ვისზე იღებენ ხმას! ან ბუტა რობაქიძის საქმე.

***– ბუტა რობაქიძე ხომ მოკლეს.***

– არ უარვყოფ, ეს მთელი ერის ტრაგედია იყო, გაუვარდა ბაშალეიშვილს და ხელებაწეულ ბავშვს იღლიაში მოხვდა. ხომ იჯდა, სასჯელი ხომ მოიხადა. პოლიტპატიმართა სიაში ჩაწერეს ისეთი ადამიანები, საერთოდ პოლიტიკასთან შეხება რომ არ ჰქონიათ. საერთოდ, ყველანაირი ზღვარი წაშლილი აქვთ, რამდენი სიბინძურე ხდება შიგნით.

დღეს ოპოზიციონერობაზე დებს თავს უსუფაშვილი და, როცა მის ცოლს უკადრებელი აკადრა ღარიბაშვილმა, რა კონტექსტში მოიხსენია, ამ ყველაფრის შემდეგ ის მაინც ბოლომდე დარჩა პარლამენტის თავმჯდომარედ და სწორედ იმ ღარიბაშვილს დაანიშვნინა მისი ცოლი თავდაცვის მინისტრად. არ ვიცი, ამ ყველაფერს როგორ ყლაპავენ, თან ესენი ლაპარაკობენ რაღაც ქართულსა და ღირებულებებზე. ესენი საერთოდ ვინ არიან!

***– ახლოვდება არჩევნები და ივანიშვილი ცდილობს, შეინარჩუნოს ხელისუფლება. თუ ასე მოხდა, რა იქნება?***

– კადაფი იქნება! ჩაუშესკუ იქნება! აი, რა იქნება! სარზე რომ წამოაცვამენ, მერე ნახავენ, რაც იქნება! დედებს მშიერი ბავშვები ხელში აკვდებათ. სწორედ ეს დედები წამოაცვამენ სარზე. აგერ ნახავთ, თუ არა!

მარტო უტასი და ბერასი არ არის საქართველო! საქართველო ჩემიცაა და ჩემს წილს არავის დავუთმობ!

# სერგი კაპანაძე: „ლავროვის ჩამოსვლა ვითარებას დაძაბავს“

ნათია ხურცილავა



„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ვიცესპიკერი **სერგი კაპანაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს რუსეთის დელეგაციის შესაძლო ვიზიტზე თბილისში.

***– ბატონო სერგი, როგორც ჩანს, ევროსაბჭოს მინისტერიალის ფორმატში ხელისუფლება მზად არის, რუსეთის დელეგაცია თბილისში მიიღოს. ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ ჯერ ინფორმაცია არ გვაქვს, თუ ვინ უხელმძღვანელებს რუსეთის დელეგაციას. შეიძლება, ეს სერგეი ლავროვი იყოს?***

– არაფერი არ არის გამორიცხული, მაგრამ ეს სიტუაციას დაძაბავს. ეს უნდა ესმოდეს ხელისუფლებას. ნამდვილად არაფერს გამოვრიცხავ იმის მერე, რაც გავრილოვი ჩამოიყვანეს და პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩასვეს. სავსებით შესაძლებელია, თბილისში ლავროვი ჩამოვიდეს, როგორც რუსული დელეგაციის ხელმძღვანელი. ამის საფრთხე არსებობს.

ხელისუფლებამ ასე უნდა დასვას საკითხი: რა უფრო მნიშვნელოვანია მისთვის — ეროვნული ინტერესების დაცვა, უსაფრთხოების განმტკიცება, კონსტიტუციის დაცვა, კანონის შესრულების უზრუნველყოფა თუ ის ზიანი, რომელსაც მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში არ შემოუშვებს ლავროვს.

ეს რომ იყოს ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს განუხრელად იცავს, რუსულ ოკუპაციას ებრძვის ყველა შესაძლო ფორმატში, ამ შემთხვევაში, შეიძლება, გამონაკლის შემთხვევაზე იფიქრო, მაგრამ, როდესაც რუსეთი ბოლომდე გათამამებულია, როდესაც ქვეყნის ეროვნული ინტერესები ასეა მორღვეული, როდესაც ყველა ხედავს, რომ თავმოყვარეობა აღარ შეგვრჩა, ამ პირობებში საკითხი ასე უნდა დაისვას: რა უფრო ღირებულია?!

***– მძიმე არჩევანის წინაშე დგას ხელისუფლება?***

– არა, მძიმე სულაც არ არის. მძიმე არის ის სიტუაცია, რომელიც აქამდე მოიყვანეს. საბოლოო ჯამში, ძალიან მარტივი არჩევანია, არ უნდა შემოუშვან! თუ არ უნდოდათ, ამ არჩევანის წინაშე დამდგარიყვნენ, ცოტა ადრე უნდა ეფიქრათ, როდესაც თავმჯდომარე ქვეყანა გავხდით. მაშინვე შეგვეძლო, გვეთქვა, რომ მინისტერიალი ჩატარდება არა თბილისში, არამედ სტრასბურგში. ამით ხომ ეს პრობლემა მოიხსნებოდა, მაგრამ ამაზე არავის უფიქრია.

***– იყო ეს შესაძლებლობა?***

– რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ თავის დროზე ამაზე არავის უფიქრია.

***– ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, რომ ევროსაბჭოს მინისტერიალი აუცილებლად თბილისში უნდა ჩატარდეს და რომ ეს პრესტიჟის საკითხია.***

– რუსეთის დელეგაციაში რომ იქნებიან ადამიანები, რომლებსაც ექნებათ კანონი დარღვეული ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, მერე რას გვეტყვიან, ესეც პრესტიჟის საქმე იქნება?!

***– ლავროვს ეს კანონი დარღვეული აქვს?***

– დიახ.

***– პოლიტიკურად რა შეიძლება, ლავროვის ჩამოსვლას მოჰყვეს?***

– არ მინდა წარმოდგენა და გამოცნობა, თუ რა შეიძლება, ამას მოჰყვეს, მაგრამ ვნახავთ, რა რეაქციაც ექნება ამაზე საზოგადოებას. ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელმაც ბოლო წლებში აჩვენა, რომ ქვეყნის ინტერესებს არ იცავს.

# გოგა ხაინდრავა: „ევროპა, რომელიც სამადაშვილისა და კახიძის ჭკუაზე დადის, გვჭირდება თუ არა, საკითხავია“

## „სააკაშვილი არავისთვის საინტერესო აღარ არის“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, კინორეჟისორი **გოგა ხაინდრავა** პასუხობს.

***– ბატონო გოგა, თქვენ განაცხადეთ, რომ გიგი უგულავამ არა მხოლოდ 50 მილიონი, არამედ, ამის გარდა, მანამდე 102 მილიონი გაფლანგა.***

– ეგ მე არ მითქვამს, საფინანსო სამსახურმა თქვა, რომელიც იმ დროს ბიუჯეტის ხარჯვის საკითხებს სწავლობდა. ეს იყო 2005 წელს, სააკაშვილის ხელისუფლების მოსვლიდან ერთ წელიწადში. მაშინ საფინანსო სამსახურის უფროსი იყო სოსელია.

***– ხომ არ იცით, ის 102 მილიონი სად წავიდა?***

– მე არ ვიცი, სად წავიდა. ანგარიშში, რომელიც დაიდო, ლაპარაკი იყო 102 მილიონის გაფლანგვაზე.

***– სააკაშვილი, რომელიც ყოველთვის თავს იქებდა, რომ ის იყო კორუფციასთან შეურიგებელი მებრძოლი, დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ ნულოვანი ტოლერანტობით...***

– ვინ იყო კორუფციასთან მებრძოლი, სააკაშვილის ყველა მინისტრი დღეს მილიონერია.

***– სააკაშვილი აცხადებდა, ქვეყანაში კორუფცია მოვსპეო და გიგი უგულავას 102 მილიონი როგორ აპატია?***

– თვითონ სააკაშვილი იყო 102 მილიონის საქმეში გარეული და განაჩენს თავისი ხელით თავის თავს ხომ არ გამოუტანდა? სააკაშვილის თავდაცვის მინისტრი კეზერაშვილი არის მილიარდერი, დღეს ლონდონში ცხოვრობს. ყოფილი პრემიერ-მინისტრები ყველანი მილიონერები არიან.

ასე რომ, ერთია, სააკაშვილი რას ლაპარაკობს და სულ სხვაა, რას ჩადიოდნენ. მათ სიტყვასა და საქმეს ერთმანეთთან არანაირი კავშირი არ აქვს. ეგენი ყოველთვის ხაზინის ქურდები, ქურდბაცაცები, კრიმინალები და დამნაშავეები იყვნენ, არიან და იქნებიან, რაც უნდა ილაპარაკონ ამერიკაში, ევროპაში, ჩინეთსა და ინდოეთში.

ჩვენს დამოკიდებულებას ეს ვერ შეცვლის, რადგან ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, ვინ არიან ეგენი. ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის.

***– რას გულისხმობთ?***

– ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენი ქვეყანა ვითარდება და ასე გაგრძელდება, რაც უნდა იყეფონ აქეთ-იქით, გინდ ნაცმოძრაობამ და გინდ სხვებმა, ვინც ახლა მათთან არიან გაერთიანებული, ჩვენ ხომ ვიცით სიმართლე. საქართველოს



მოქალაქეებმა იციან, ვინ არის უგულავა, ვინ არიან სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, კეზერაშვილი, ბოკერია.

***– თუმცა ნაცმოძრაობისა და, საერთოდ, გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებიც დღეს ერთ მაგიდასთან სხედან, ცდილობენ, უგულავას დაპატიმრებისა და სხვა საკითხების გამო საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო ასპარეზზე პრობლემები შეუქმნან, მაგალითად, ახლახან ევროპარლამენტში შექმნეს პრობლემა.***

– რა თქმა უნდა და უქმნიან კიდეც. ეგ არის მათი მოწოდება, მაგისთვის არიან გაჩენილი, რომ საქართველოს პრობლემები შეუქმნან, რადგან არ არის მათი სამშობლო. მათი სამშობლო საქართველოს ფარგლებს გარეთ არის – ზოგის სად არის, ზოგის სად. ამიტომ, ბუნებრივია, ესენი საკუთარი კეთილდღეობისთვის ქვეყანას გაწირავენ. ყოველთვის ასე იყო და ახლაც ასეა.

ჩვენ ეს არ უნდა გვიკვირდეს. მათ ამისთვის დიდი გამოცდილება და დიდი ფული აქვთ. ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს. ამიტომ აბსოლუტურად ბუნებრივია, 1 წლის წინ გამოტანილ განაჩენზე ადამიანი პოლიტპატიმრად რომ გამოაცხადეს სადღაც, სადაც წესიერად არც კი იციან, საით არის საქართველო, აქ არასოდეს ყოფილან, არ იციან, რა როგორ მოხდა და ფულის გაფლანგვისთვის დაპატიმრებას პოლიტიკურ დევნას ეძახიან, რაც თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ მიკერძოებული განცხადებაა.

მიკერძოებულია, რადგან იმ ევროპარლამენტარმა არ იცის, რეალურად რა მოხდა. ამიტომ ის უსმენს სამადაშვილსა და კახიძეს. ეს ვერანაირად ვერ იქნება ობიექტური. თუ ობიექტური არ არის, ე.ი. სუბიექტურია. ეს არის პოლიტიკური კორუფცია. მე ამის არაერთი ფაქტი ვიცი და გამომიმზეურებია კიდეც არაერთი ყოფილი ჩინოვნიკის კორუფცია.

***– ევროპარლამენტში ჩვენი დეპუტატები უგულავას ფოტოებით წარდგნენ, წარწერით, რომ უგულავა პოლიტპატიმარია.***

– დიახ, სამადაშვილი მივიდა ევროპარლამენტარებთან და უთხრა, თითქოს უგულავა პოლიტიკური დევნილია. ჩვენ ვიცით, რომ უგულავა ხაზინის ქურდია.

სამადაშვილმაც იცის, უგულავა რომ ხაზინის ქურდია და ბოკერიამაც, მაგრამ ნორვეგიელმა, იტალიელმა, ფრანგმა და ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენელმა რა იცის, რა ხდება. ამიტომ ჩვენი ქვეყნისადმი მიკერძოებული დამოკიდებულებაა. რა ვუყოთ, პირველი შემთხვევა არ არის.

***– პირველი შემთხვევა არ არის, მაგრამ ძალიან არასასიამოვნოა, როდესაც აქ მიღებულ გადაწყვეტილებას ამხელა გამოხმაურება მოჰყვება უცხოეთში. ჩვენი მეგობარი ბალტიისპირეთის ერთ-ერთი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც გაავრცელა უარყოფითი განცხადება.***

– უსიამოვნება იმისთვის არის, ვინც ამაში მონაწილეობს. ისინი მონაწილეობენ მიკერძოებაში. ისინი ადასტურებენ, რომ დემოკრატია, სამართლიანობა და თავისუფლებაა... სინამდვილეში დემოკრატიის, თავისუფლებისა და სამართლიანობის დეკლარირება ერთია, რეალობა კი სულ სხვაა. ისინი ვნებენ ევროპასა და ევროპულ ინსტიტუტებს. ამით მთელ მსოფლიოს აჩვენებენ თავიანთ მიკერძოებულობას, რომ სამართალთან და კანონიერებასთან მწყრალად არიან. ეს ვნებს თვითონ ევროგაერთიანებას.

***– საქართველოს არ ვნებს?***

– ცხადია, საქართველოსაც ვნებს, რაც სასიამოვნო არ არის, მაგრამ შედეგი იმ გაერთიანებისა და ერთობისთვის იქნება მნიშვნელოვანი, რადგან ასე მხოლოდ საქართველოსთან დაკავშირებით არ ხდება. რადგან ჩვენთან დაკავშირებით ასე იქცევიან, ე.ი. სხვებთან დაკავშირებითაც ასეა. რუსეთი აღადგინეს ევროსაბჭოში, ხმის უფლება დაუბრუნეს, ლამის მართვის გასაღები ჩააბარეს. რატომ? რუსეთი უფრო დემოკრატიული გახდა თუ რაშია საქმე? საქართველოსა და უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე რა ხდება, ხომ იცით? ან სირიასა და ლიბიაში რა ხდება, რა როლი აქვს რუსეთს, ხომ ცნობილია, ხომ ყველანი ვხედავთ. მიუხედავად ამისა, ისინი ამბობენ, რომ რუსეთი დემოკრატიული ქვეყანაა.

***– რუსეთი ამ ევროგაერთიანებას დაფინანსებისთვის სჭირდება.***

– რა მნიშვნელობა აქვს. ეგ არის პოლიტიკური კორუფცია დაფინანსებისთვის, სიმართლის წინააღმდეგ რომ მიდიხარ და ჭეშმარიტებას უპირისპირდები.

***– ჩვენც გვჭირდება ევროპა და ამერიკა.***

– ჩვენ ყველაზე მეტად სიმართლე, თავმოყვარეობა, შრომა და ერთობა გვჭირდება.

***– ჩვენ ევროპა ჩვენი ინტერესების დასაცავად არ გვჭირდება?***

– ჩვენ ევროპას უფრო ვჭირდებით. ისეთი ევროპა, რომელიც სამადაშვილისა და კახიძის ჭკუაზე დადის, გვჭირდება თუ არა, ეგეც საკითხავია. ჩვენ სამართლიანი, ცივილიზებული ევროპა გვჭირდება და არა მიკერძოებული და უსამართლო.

***– თქვენ ბრძანეთ, რომ სააკაშვილის მინისტრები მილიონერები და მილიარდერები გახდნენ.***

– მე არ ვბრძანებ, ეს რეალობაა. ჩაიხედეთ მათ დეკლარაციებში და დაინახავთ, რომ მილიონერები არიან მათი დროინდელი პარლამენტის თავმჯდომარეებიც, დღეს ოპოზიციონერებად რომ მოაქვთ თავი.

***– საქართველოს პროკურატურამ გამილიარდერებული საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის დაპატიმრება რატომ ვერ მოახერხა?***

– კეზერაშვილი არის ისრაელის მოქალაქე და საქართველოს კანონმდებლობა მასზე არ ვრცელდება.

***– როდესაც საფრანგეთში კეზერაშვილი დააპატიმრეს, ითქვა, რომ საქართველოს პროკურატურამ შესაბამისი დოკუმენტაცია ვერ გააგზავნა მისი ბრალეულობის დასადასტურებლად.***

– ასე არ არის. ის გაათავისუფლეს, როგორც ისრაელის მოქალაქე. ისრაელი თავის მოქალაქეებს იცავს საფრანგეთში და ყველგან. საქართველოს მოქალაქეების საბუთები ისრაელის მოქალაქეებზე არ ვრცელდება.

***– სააკაშვილი თავის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში შტაბს ქმნის. როგორ უყურებთ თქვენ ამას?***

– სააკაშვილი არავისთვის საინტერესო აღარ არის. მგონი, თქვენთვისაც აღარ უნდა იყოს საინტერესო.

***– ოპოზიციისთვის არის საინტერესო, თუ რა როლს ითამაშებს ის ოპოზიციურ გაერთიანებაში.***

– სააკაშვილს რა როლი უნდა ჰქონდეს? ეგ არის მასხარა, რაც დიდი ხანია ცნობილია. რა როლი უნდა ითამაშოს.

# დავით ბერძენიშვილი: „თუ ლავროვს შემოუშვებენ, ბარემ არმიაც მოაყოლონ, ისე პროტესტს ვერ ჩააქრობენ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***მოვლენებს როგორ აფასებთ? მმართველი გუნდი ისევ „ნაცმოძრაობისკენ“ იშვერს ხელს რეზოლუციის ჩაგდებაზე, რაც ასოცირების ხელშეკრულებას უკავშირდება. ცოტა ირონიულად დავსვამ კითხვას – ასეთი ძლიერია „ნაცმოძრაობა“?***

– მმართველი გუნდი იქცევა, როგორც არაკვალიფიციური ადამიანები. ტერმინი „არაკვალიფიციური“ კიდევ შერბილებული შეფასებაა. სიბრიყვეა ეს, როდესაც მათივე პარტიის პარტნიორი გაერთიანება – „სოციალისტები“ ისეთივე მკვეთრები არიან, როგორც სხვები. „სახალხო პარტიას“ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აგდებით მოიხსენიებენ ხოლმე, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს არის მერკელის პარტია და ბევრი სხვა სახელისუფლებო პარტია ევროპაში სწორედ ამ პარტიის – „სახალხო პარტიის“ შემადგენლობაშია.

მაგრამ, მარტო ისინი არ არიან. „ლიბერალებიც“, „მწვანეებიც“. ანუ, ის ადამიანები, რომლებიც 2012 წელს სააკაშვილს აკრიტიკებდნენ და მაშინდელ ჩვენს კოალიციას გულშემატკივრობდნენ. „ლიბერალების“ წევრები ვართ „რესპუბლიკელები“ და აქაც კი ჩამოვიყვანეთ ისინი – მსოფლიო ინტერნაციონალიზმის ხელმძღვანელები და ევროპელი „ლიბერალების“ ხელმძღვანელები. რეზოლუციაც კი გაიტანეს მაშინ ევროპარლამენტში „სოციალ-დემოკრატებთან“ და „მწვანეებთან“ ერთად.

ისინი არიან საქართველოს მხარდამჭერები, ასე რომ, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ რომელ გაერთიანებაშია. ერთი ძალიან აქტიური ახალგაზრდა ქალი, ჩეხი მარკეტა გრეგოროვაა. ის საერთოდ „პირატების“ წევრია, ასე ჰქვია იმ ჯგუფს, რომლის წევრიც არის. ყველა სხვადასხვა მიმართულების ევროპარლამენტარი ერთსულოვანია საქართველოს ხელისუფლების მიმართ მკვეთრ განცხადებებში. ეს ჯერჯერობით არ არის წითელი ბარათი და არც ყვითელი ბარათი საქართველოს სახელმწიფოს მიმართ, მაგრამ თუ ხელისუფლებაში დარჩება „ქართული ოცნება“, ყვითელი ბარათი, რომელიც ამოუღეს ამ პარტიას, ის ძალიან სახიფათო აღმოჩნდება საქართველოსთვის.

მართალია ჯერ მარტო სავიზო ლიბერალიზაცია გვაქვს და მეტი არაფერი. არც ნატოს და არც ევროკავშირის მიმართულებით სხვა რაიმე წარმატება არ გვაქვს, მაგრამ ვიზალიბერალიზაციაც არ არის სამუდამოდ ხელშეუხებელი.

***– „ქართული ოცნების“ დღევანდელი პოლიტიკა აჩერებს თუ არა საქართველოს სვლას ევროპული და ევროატლანტიკური მიმართულებით?***

– აფერხებს. ჯერჯერობით ისინი არაფერს მოიმოქმედებენ და, რა თქმა უნდა, დაელოდებიან არჩევნების შედეგებს, დაელოდებიან ქართველი ხალხის არჩევანს და ამაზეა ყველაფერი დამოკიდებული.

***– მთავარი ხაზი, რაც ევროპული სტრუქტურებიდან ისმის, არის ის, რომ ისინი ამბობენ, ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს, მაგრამ არა „ოცნებას“, რომელიც სასამართლოს იყენებს პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგო. ეს გზავნილი როგორ ითარგმნება?***

– რა თქმა უნდა, მათი გზავნილი ეს არის და ეს არის კარგი. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არის ყვითელი ბარათი ხელისუფლების მიმართ და არის მხარდაჭერა საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური არჩევნების მიმართ.

# რა მოხდება თბილისის მაისის მინისტერიალზე?

## უმსუბუქებს თუ არა ევროპა სანქციებს რუსეთს?

მარიამ მჭედლიშვილი

ევროინტეგრაციის გზაზე მდგარი საქართველო განსაცდელებს ევროპიდანაც იგერიებს. მომავალში შეიძლება ევროპის საბჭოს თავმჯომარეობაც ძვირად დაუჯდეს.

ამ დღეებში საქართველოს ხელისუფლებას კრიტიკა ევროპარლამენტიდან კიდევ დაატყდა. კერძოდ, ევროკავშირ-საქართველოს საპარლამენტო ასოციაციის კომიტეტზე ჩავარდა დოკუმენტი საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის მოსაზრებები ამ საკითხზე არ დაემთხვა ოპოზიციისა და ევროდეპუტატების შეფასებებს.

ევროდეპუტატ რასა იუკნევიჩიანეს განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ“ კარგად უნდა გააანალიზოს არსებული სიტუაცია და შეცვალოს გარკვეულო პოზიციები. მისივე შეფასებით, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს ევროპულ კურსს აზიანებს.

საქართველოს დელეგაციას ამ სხდომაზე მოუხდა იმის აღიარება, რომ საქართველოს მოქალაქეების მცირე ჯგუფი ბოროტად იყენებს უვიზო რეჟიმს ევროპაში დაუსაბუთებელი თავშესაფრის მისაღებად. სულ უვიზო რეჟიმის ამოქმედებიდან ამ სიკეთით საქართველოს მილიონზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა და ამ ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა უვიზო რეჟიმის წესებს ემორჩილებოდა.

საქართველო უსაფრთხო ქვეყნად უკვე 16-მა სახელმწიფომ აღიარა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სივრცეში ქართველები თავშესაფარს ველარ მოითხოვენ.

– რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი საკმაოდ აქტიური უნდა იყოს საერთაშორისო დღის წესრიგში, – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვახტანგ მახარობლიშვილმა.

თუ ოფიციალური თბილისი ასე თვლის, მაშინ ეს საკითხი სხვა ევროსტრუქტურაში, ევროპის საბჭოშიც უნდა წამოსწიოს.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომას, რომელიც ყოველწლიურად მაისში იმართება, წელს თბილისმა უნდა უმასპინძლოს.

საქართველო, როტაციის წესით, კომიტეტის თავმჯდომარეა.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე გამოსულმა საქართველოს პრეზიდენტმა მინისტერიალზე რუსეთის დელეგაციაც დაპატიჟა.

მოსკოვში აცხადებენ, რომ რუსეთის დელეგაცია თბილისში ჩამოვა. არ სახელდება შემადგენლობა.

6 წლის განშორების შემდეგ ევროპის



ვახტანგ მახარობლიშვილი

საბჭოში დაბრუნებული რუსეთი დემოკრატიზაციისა და აგრესიის შეწყვეტის სურვილს მაინცდამაინც არ ამჟღავნებს. თუმცა, მას ევროპის საბჭოში კარს ფართოდ უღებენ.

ექსპერტების აზრით, ამით გამოჩნდა რუსეთისადმი ევროპის კეთილგანწყობისა და ევროპის აშშ-სთან უთანხმოების ზრდის ტენდენცია.

მათი განმარტებით, რუსეთის დაბრუნებით განსაკუთრებით დაინტერესებული არიან მილსადენი „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის მონაწილე ევროპელი მოთამაშეები.

ევროპის საბჭომ რუსეთის უკან მიღებით ფაქტობრივად მოხსნა სანქცია რუსეთის მიმართ.

2014 წლის აგრესიის შემდეგ რუსეთს ბევრი სანქცია დაუწესდა. ექსპერტების პროგნოზით, ევროკავშირი რუსეთს სანქციებს სრულად არ მოუხსნის, თუმცა შეამცირებს მათ მოცულობას.

თავად რუსეთში აცნობიერებენ, რომ რუსეთის ფედერაცია ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის მხრივ ევროპის საბჭოს სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. რუსი კომენტატორების აღშფოთებას იწვევს ის, რომ ევროსტრუქტურებში, განსაკუთრებით, ევროკავშირში, გადაწყვეტილებების მიღებისას პრევალირებს არა ძველი ევროპელების პოზიცია, არამედ, ისეთი რუსოფობიური მოსაზრებები, როგორიც აქვთ პოლონეთს და ბალტიის ქვეყნებს.

აშკარაა, საქართველო ცდილობს, არ შეეწინააღმდეგოს ევროპის საბჭოს რუსეთთან შერიგების ტენდენციას. თუმცა, „გავრილოვის ღამის“ გადატანის შემდეგ რუსეთის დელეგაციის ჩამოსვლა თბილისში, ნიშნავს კიდევ ერთი რევოლუციური სცენარის გათამაშების შესაძლებლობას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთის საგარეო მინისტრი ლავროვი, რომელსაც დარღვეული აქვს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, თავის მაგივრად სხვას გამოაგზავნის.

# ადვოკატი ღურწკაია: „ბექა კვიციანს ნოდარ ცეცხლაძე არ მოუკლავს, იარაღსა და მასრაზე მისი დნმ არ ამოსულა“

თბილისის ზღვის ტერიტორიაზე მეგობრის, ნოდარ ცეცხლაძის, მკვლელობის ბრალდებით დაკავებული ბექა კვიციანის ადვოკატი მუხრან ღურწკაია მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას მოითხოვს.

როგორც დეპუტატ ემზარ კვიციანის ძმის შვილის ადვოკატი განმარტავს, ექსპერტიზის შედეგების თანახმად, მკვლელობის იარაღსა და მასრაზე ბექა კვიციანის დნმ არ ამოვიდა.

ამის შესახებ განცხადება ადვოკატმა 14 თებერვალს, წინასასამართლო სხდომის დაწყებამდე გააკეთა.

— ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ბექა კვიციანი თავს დამნაშავედ არ ცნობს მის მიმართ წარდგენილ ბრალდებაში. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ბექა კვიციანის ბრალეულობა ვერ დასტურდება და წინასასამართლო სხდომაზე ბექა კვიციანის მიმართ სამართლებრივი დევნის შეწყვეტის საკითხს დავაყენებთ. ჩატარებულია არაერთი საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის, მოსულია ექსპერტიზის პასუხები და კონკრეტული ექსპერტიზის დასკვნებით დასტურდება, რომ ბექა კვიციანს კონკრეტულად ამ მკვლელობასთან არავითარი შემხებლობა არ ჰქონია.



მკვლელობის იარაღზე, მასრებზე ბექა კვიციანის დნმ არ აღმოჩნდა, ასევე სხვა ექსპერტიზის დასკვნებია დანიშნული სიგარეტის ნამწვთან დაკავშირებით, სადაც ასევე არ აღმოჩნდა მისი დნმ და, შესაბამისად, დაცვის მხარე თვლის, რომ ამ მტკიცებულებებით მისი ბრალეულობა ვერ დასტურდება, — განაცხადა ღურწკაიამ.

რაც შეეხება იმ ვიდეომასალას, სადაც ჩანს, თუ როგორ მიაკითხა მოკლულს სამსახურში კვიციანმა და, სავარაუდოდ, ბოლო კომუნიკაციაც მას ჰქონდა, ადვოკატი აცხადებს, რომ ეს მკვლელობას არ ადასტურებს.

— მანქანის გადაადგილება ვიდეომასალაში ჩანს, მაგრამ ამ მანქანას ბექა კვიციანი მართავს თუ არა, ეს დადასტურებული არ არის. მანქანის გადაადგილება, ბუნებრივია, მკვლელობას არ ნიშნავს, ეს არ არის ის უტყუარი პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც მის ბრალს დაადასტურებს. ბექა კვიციანი ამბობს, რომ მას ის ადამიანი არ მოუკლავს და არც რაიმე სახის შემხებლობა ჰქონია ამ დანაშაულთან.

ფსიქიატრიული ექსპერტიზა დანიშნულია, მაგრამ ჯერ პასუხი მოსული არ არის, — განაცხადა ღუწკაიამ.

14 თებერვლის სხდომაზე ბექა კვიციანს, გარდა მკვლელობის ბრალდებისა, ბრალი დროებითი მოთავსების იზოლატორში პოლიციელებზე თავდასხმისთვისაც წარედგინა.

როგორც პროკურორმა პროცესზე თქვა, კვიციანი დროებითი მოთავსების იზოლატორში პოლიციელებს თავს დაესხა.

პროკურორი ამბობს, რომ ბრალდებული დანაშაულებრივი ქმედებებისკენაა მიდრეკილი და გასათვალისწინებელია მისი უაღრესად აგრესიული და დაუნდობელი ხასიათი, ასევე ის ფაქტი, რომ ბექა კვიციანი მძიმე დანაშაულების ჩადენისთვის წარსულში არაერთხელაა ნასამართლევი.

სახელმწიფო ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები დაცვის მხარემ სადავო გახადა.

ადვოკატ მუხრან ღურწკაიას განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს მიაჩნია, რომ მას უკანონო ბრალი წაუყენეს, რის გამოც ის გაღიზიანდა, თუმცა, აცხადებს, რომ მოსამართლისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

საქმე ეხება ბექა კვიციანის მხრიდან სასამართლო პროცესზე მოსამართლის მიმართ სიტყვიერ შეურაცხყოფას.

ბექა კვიციანს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის მეორე ნაწილით აქვს წარდგენილი, რაც სასამართლოს უპატივცემლობას გულისხმობს.

საბოლოოდ, დეპუტატ ემზარ კვიციანის ძმისშვილი კვლავ პატიმრობაში დარჩა.

14 თებერვლის სასამართლო პროცესზე კვიციანის მიმართ შეფარდებული პატიმრობა გადაისინჯა და მოსამართლე ალექსანდრე იაშვილის გადაწყვეტილებით, ის ძალაში დარჩა.

მოსამართლის განმარტებით, მხარეებს იმგვარი ახალი მტკიცებულება და ახალი გარემოება არ წარმოუდგენია, რომელიც პატიმრობის ძალაში დატოვებას გააქარწყლებდა.

ბრალდების მხარე კვიციანის მიმართ მკაცრი ღონისძიების ძალაში დატოვებას, დაცვის მხარე კი მისი აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას მოითხოვდა.

ცნობისთვის, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე ნოდარ ცეცხლაძის მკვლელობის ბრალდებით მისი მეგობარი, დეპუტატ ემზარ კვიციანის ძმიშვილი, ბექა კვიციანი, რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ დააკავეს.

# ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია ციხიდან გამოუშვეს



ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია და მასთან ერთად დაკავებული სამი პირი პატიმრობიდან გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

აღნიშნული გადაწყვეტილება 14 თებერვალს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე შოთა ბიჭიამ მიიღო.

როგორც ინტერპრესნიუსს ირაკლი კაკულიას ადვოკატმა, ედიშერ ქარჩავამ განუცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი 50.000-ლარიანი, ხოლო სხვა დაკავებულები 30-30 ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

— სასამართლოს გადაწყვეტილებას დადებითად ვაფასებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გამამართლებელი განაჩენი არის გამოტანილი, — განაცხადა ირაკლი კაკულიამ.

მისი თქმით, ჯერ საქმე ძიებაშია, მიმდინარეობს სასამართლო პროცესი.

— უბრალოდ, შეიცვალა აღკვეთის ღონისძიება და მადლობა მინდა გადავცე ყველას, ვინც გულშემატკივრობდა და ვინც მიიღო კიდევაც მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში, — აღნიშნა ირაკლი კაკულიამ.

ირაკლი კაკულიას ადვოკატი ედიშერ ქარჩავა აცხადებს, რომ დიდი მოლოდინი ჰქონდა აღკვეთის ღონისძიების შეცვლაზე.

— მოლოდინი აღკვეთი ღონისძიების შეცვლასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, მქონდა, იქიდან გამომდინარე, რომ ის სამართლებრივი საფუძვლები, რაც მითითებული იყო დაპატიმრების დროს და პირველ აღკვეთის ღონისძიებაში, იმ განჩინებაში, რომელიც გამოტანილ იქნა, რა თქმა უნდა, არსებითი განხილვის დროს შესრულებულია.

დაიკითხნენ ის მოწმეები, რომლებზეც აპელირებდა ბრალდების მხარე, აქედან გამომდინარე, სრული სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა სასამართლოს და არ არსებობდა არანაირი სხვა დასაბუთება, რომ აღკვეთი ღონისძიება, თუნდაც ირაკლი კაკულიას, არ შეცვლოდა.

თვითონ საქმის გარემოება, ის მტკიცებულებები, რომლებიც ჩვენ მიერ გამოკვლეულ იქნა, თავიდანვე განვმარტე და ახლაც იმას ვამბობ, რომ ირაკლი კაკულიას და იმ პირების დაკავების აუცილებლობა ნამდვილად არ არსებობდა. ვინაიდან, ამ საქმის გამოძიება სამი წელი მიმდინარეობდა, ამიტომ ის, პირიქით, თანამშრომლობდა გამოძიებასთან, ჩვენებას აძლევდა, არ იმალებოდა და ხელს უწყობდა ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. აქედან გამომდინარე, თუნდაც მისი პატიმრობაში ყოფნა აუცილებელი არ იყო და სასამართლომ სწორედ ეს დაინახა, — განაცხადა ადვოკატმა.

მისივე თქმით, 50.000 ლარის გირაოს უზრუნველყოფას დაცვის მხარე უძრავი ქონების საშუალებით შეეცდება.

საქმეზე შემდგომი სხდომა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე წლის 8 აპრილს ორ საათზე გაიმართება.

შეგახსენებთ, 8 ნოემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ოთხი პირი დააკავეს, რომელთაგანაც სამი მოქმედი, ერთი კი, ყოფილი საჯარო მოხელეა. მათ შორის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერი და საკრებულოს ახლანდელი თავმჯდომარე ირაკლი კაკულია.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, მათ ბრალად ედებათ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების თაღლითურად დაუფლებაში დახმარება, სახელმწიფო ქონების გაფლანგვა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღება, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სამსახურებრივი გულგრილობა და ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტის დამზადება-გამოყენება.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე, 182-ე, 338-ე, 332-ე, 342-ე და 210-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 11-დან 15-წლამდე ვადით ითვალისწინებს.

# სოფელ განთიადში ქალი მოკლეს

## დააკავეს 1 პირი




დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში ქალი მოკლეს.

განთიადში მცხოვრებლები აცხადებენ, რომ ქალი დააყაჩაღეს, შემდეგ კი მოკლეს.

ზაირა დევროზაშვილის ოჯახის წევრები ამბობენ, რომ ქალს ქურთუკი და მაღაზიის გასაღები წაართვეს.

თავდაპირველად იყო ვერსია, რომ დევროზაშვილს ავტომობილი დაეჯახა, თუმცა მას შემდეგ, რაც ცხედარს ექსპერტიზა ჩაუტარდა, გაირკვა, რომ მას ბლაგვი საგნით მიყენებული დაზიანებები აღენიშნებოდა.

— თავში რკინა აქვს ჩარტყმული, თავი ჩატეხილი ჰქონდა. ფულის გამო მოკლეს ალბათ. ან მაღაზიიდან გამოჰყვნენ, ან აქ დახვდნენ, — ამბობენ სოფელში.

მოგვიანებით პოლიციამ 1 პირი დააკავა.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 13 თებერვალს, საღამოს, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში, ამავე სოფლის მკვიდრს, 1963 წელს დაბადებულ ზ.დ.-ს ბლაგვი საგნის გამოყენებით თავის არეში სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიმალა.

დაშავებული ქალი მიყენებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს, — ნათქვამია შსს-ს ინფორმაციაში.

# სამეგრელოსა და გურიაში უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოვლინდა




ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სამეგრელოს, გურიისა და ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთი კვირის განმავლობაში ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში და ოზურგეთში, განხორციელებული მიმდინარე კონტროლის პროცედურების შედეგად, ჯამში, 3.030 კოლოფი უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოავლინეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი. საქმეთა მასალები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 241-ე მუხლის შესაბამისად, ქვემდებარეობით შესაბამის სასამართლოს გადაეგზავნა.

# პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკი ამოიღო



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისის აეროპორტში უცხოეთის მოქალაქე დააკავეს. 1969 წელს დაბადებულ ა.კ.-ს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა და საქართველოში უკანონოდ შემოტანა ედება ბრალად.

დანაშული 5-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ?

?სამართალდამცველებმა ბრალდებულისგან ნივთმტკიცებად ამოიღეს სხვადასხვა სახის ნარკოტიკები: 97 აბი „სუბუტექსი“, „ბუპრენორფინის“ შემცველი ფხვნილი, 5 აბი „ექსტაზი“ და 1 შეკვრა „მდმა“.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების „ა“ ქვეპუნქტებით, 262-ე მუხლის 1-ელი, მე-2 და მე-4 ნაწილების „ა“ ქვეპუნქტებით, ასევე, 273-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვას და საქართველოში უკანონოდ შემოტანას გულისხმობს.

# მოპედისა და ველოსიპედის ქურდობაზე 1 პირი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქურდობის ბრალდებით, 1985 წელს დაბადებული, წარსულში არაერთგზის ნასამართლევი ი.გ. დააკავა.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, ფოცხვერაშვილის ქუჩაზე, ერთ-ერთი მოქალაქის კუთვნილი მოპედი მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ასევე დაადგინეს, რომ ი.გ.-მ ბოლო 2 კვირის განმავლობაში, თბილისში, სხვადასხვა დროსა და ადგილზე, მოიპარა მოქალაქეების კუთვნილი 2 ველოსიპედი, 1 მოპედი და კიდევ 1 მოპედის მოპარვა სცადა.

ნიუპოსტის ცნობით, პოლიციამ, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებულის მიერ მოპარული 2 მოპედი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილ ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

# თურქეთმა სირიის საზღვართან ჯავშანტექნიკა და 1000 სამხედრო გააგზავნა



თურქეთმა სირიის ჩრდილოეთ ნაწილში, იდლიბის პროვინციაში, ტანკებთან ერთად ათასამდე სამხედრო გააგზავნა. იქამდე კი ქვეყნის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქეთი სირიაში საკუთარი ინტერესების დაცვას აგრძელებს და თურქი ჯარისკაცების მკვლელობისთვის სირიის არმიას საპასუხო ნაბიჯებით უპასუხებს.

შეგახსენებთ, რომ სირიის კონფლიქტში თურქეთი მხარს სირიის ოპოზიციას უჭერს, რუსეთი კი – ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლებასა და სირიის მთავრობას. 2018 წელს თურქეთი და რუსეთი შეთანხმდნენ, რომ იდლიბი დეესკალაციის ზონად ჩამოყალიბდებოდა, სადაც სამხედრო მოქმედებები უნდა შეწყვეტილიყო. ანკარამ ბოლო პერიოდის განმავლობაში მოსკოვს არაერთხელ მოუწოდა, „შეეჩერებინა მოკავშირე ასადის რეჟიმი“, თუმცა ბოლო თავდასხმა თურქ ჯარისკაცებზე სწორედ მაშინ მოხდა, როცა რუსეთის დელეგაცია ანკარაში სირიაში მიმდინარე მოვლენებს განიხილავდა.

# ერაყში, აშშ-ის სამხედრო ბაზაზე, სარაკეტო თავდასხმა განხორციელდა




ერაყში, სამხედრო ბაზაზე, რომელზეც აშშ-ის ძალებია განლაგებული, სარაკეტო თავდასხმა განხორციელდა.

თავდასხმა ირანელი გენერლის ყასემ სოლეიმანის დაღუპვიდან მეორმოცე დღეს მოხდა, რაც ეჭვს აჩენს, რომ განზრახ ამ დღეს დაამთხვიეს.

ირანის „ყუდსის ძალების“ ხელმძღვანელი ყასემ სოლეიმანი 3 იანვარს ბაღდადის აეროპორტში პენტაგონის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის დროს მოკლეს.

# აშშ და თალიბანი, შესაძლოა, შეთანხმდნენ



აშშ და მოძრაობა თალიბანი, შესაძლოა, შეთანხმდნენ.

ორ მხარეს შორის მოლაპარაკებები განახლდა. აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ესპერი აცხადებს, რომ თუ უახლოესი 7 დღის განმავლობაში ავღანეთში ძალადობის ესკალაცია არ მოხდება, შესაძლოა, სამშვიდობო შეთანხმება დაიდოს.

ავღანეთში შექმნილი მდგომარეობა ამერიკელებისთვის ნამდვილი პრობლემაა. ტრამპმაც არჩევნებამდე ავღანური მიმართულებით პროგრესს უნდა მიაღწიოს ან დაარწმუნოს ამომრჩეველი, რომ სიტუაცია უმჯობესდება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# წყვილმა ბარში უფასო სასმელის მიღების ხერხს მიაგნო



ამერიკის ალაბამას შტატის მკვიდრმა წყვილმა რომანტიკული სცენა გაითამაშა იმისთვის, რომ ბარში უცნობებისგან უფასო სასმელი მიეღოთ.

კორინ მილერი ადამ კეროლთან ერთად ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში გოგონას დაბადების დღის აღსანიშნავად გაემგზავრა. იმ დროისთვის ერთი თვის გაცნობილები იყვნენ და ორივე ფინანსურად იყო შეზღუდული. მაშინ წყვილმა ეშმაკური ხერხი მოიფიქრა ბარებში სასმელზე ფულის დასაზოგავად. იქ მყოფთა წინაშე ფიქტიური ნიშნობა გაითამაშეს.

ერთ-ერთ ბარში გადაღებულ კადრებში კეროლი მილერის წინ მუხლზე დაჩოქილი დგას და ეკითხება, თანახმაა თუ არა, რომ მას ცოლად გაჰყვეს. გოგონა ნერვიულ სიცილს თამაშობს, დაიმორცხვებს და მარჯვენა ხელს სახეზე იფარებს. შემდეგ ის მამაკაცს მარცხენა ხელს უწვდის და თანხმობის ნიშნად თავს უქნევს, რის შემდეგაც კეროლი მას თითზე ბეჭედს უკეთებს.

ამ ყოველივეს ბარში მყოფები თვალს ადევნებდნენ და როდესაც წყვილი ერთმანეთს გადაეხვია, თვითმხილველები მათ აპლოდისმენტებით მიესალმნენ და მიულოცეს.

შედეგად კეროლის და მილერის გეგმამ იმუშავა: უცნობებმა მათთვის საკუთარი ანგარიშით სასმელები შეუკვეთეს. მოგვიანებით წყვილი სხვა ბარში გაეშურა და იქაც იგივე სცენა გაითამაშეს.

დაბადების დღიდან ნახევარი წლის შემდეგ კი კეროლმა მილერს სიურპრიზი მოუწყო და ახლა უკვე ნამდვილად სთხოვა ხელი.

– მიხარია, რომ მაშინ სასმელზე ფული დავზოგეთ, – ხუმრობით აღნიშნა გოგონამ, – ამის წყალობით ადამმა ჩემთვის ნამდვილი ნიშნობის ბეჭდის ყიდვა მოახერხა.

# მამაკაცმა საკუთარ საწოლში უცნობი შიშველი კაცი აღმოაჩინა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ნეიპლსში სახლში ღამით დაბრუნებულ მამაკაცს საკუთარ საწოლში მისთვის უცნობი შიშველი კაცი დახვდა.

ბრენდონ ჰოლი სახლში ღამის სამ საათზე დაბრუნდა და საკუთარ საწოლში მწოლიარე უცნობი მამაკაცი დაინახა. მას ტანზე არაფერი ეცვა. ჰოლმა პოლიცია გამოიძახა.

პოლიციელებმა დაადგინეს, რომ ჰოლის სახლში 38 წლის ჯონ ლაილსი იმყოფებოდა. კითხვაზე, იცოდა თუ არა მან, თუ სად იმყოფებოდა, მამაკაცმა უარყოფითად უპასუხა. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა ლაილსი დააკავეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს სამედიცინო შემოწმებაზე. საავადმყოფოს შემდეგ კი ის ციხეში გადაგზავნეს. ამ მგზავრობის დროს ის პოლიციის მანქანის გატეხვას შეეცადა და დროდადრო უაზროდ იცინოდა.

ჰოლმა აღმოაჩინა, რომ ამ სტუმრობის შედეგად დაიკარგა მისი პლეისთეიშენ 4-ი. ოდნავ მოგვიანებით კი ის ფანჯრის ქვეშ იპოვა. ლაილსს ქურდობის, განზრახ დაზიანების და წვრილმანი ქურდობის ბრალდებები წაუყენეს. ის ორი ათასი დოლარის გადახდის შემდეგ გირაოთი გაათავისუფლეს.

# ექიმებმა ქალს ორი ზედმეტი მკერდი მოაშორეს



ინგლისის ჰარტფორდშირის საგრაფოს ქალაქ ჰიტჩინის მცხოვრებმა ქალბატონმა გადაიტანა ოპერაცია, რომლის დროსაც მას ორი ზედმეტი მკერდი მოაცილეს.

22 წლის ფიბი ელისმა იღლიის ქვეშ ჩოგბურთის ბურთის ზომის გამონაზარდი პირველად 12 წლის ასაკში შენიშნა. 15 წლის ასაკში მას მეორე ანალოგიური გამონაზარდი მარჯვენა იღლიის ქვეშაც გაუჩნდა. ეს ორივე გამონაზარდი გოგონას ტკივილს იმ დროს აყენებდა, როდესაც მენსტრუაცია ეწყებოდა.

მან რამდენჯერმე მიმართა ექიმებს, მაგრამ მისთვის არანაირი დიაგნოზი არ დაუსვიათ და არც ულტრაბგერითი გამოკვლევა ჩაუტარებიათ. გოგონას მათი მოშორება სურდა, მაგრამ ასეთი ოპერაცია კოსმეტიკურად ჩათვალეს და უფასოდ მის გაკეთებაზე უარი უთხრეს.

საკუთარი სხეულის გამო გოგონას რცხვენოდა, არ დადიოდა საცურაოდ. ფართო ზედატანებს იცვამდა გამონაზარდების დასამალად. მამაკაცებთან ურთიერთობასაც გაურბოდა.

ბოლოს მშობლებმა გადაწყვიტეს დახმარებოდნენ და ფასიანი ოპერაციის გასაკეთებლად ფულის შეგროვებაში დაეხმარნენ. როდესაც 21 წლის ასაკში ელისმა ექიმებისგან მორიგი უარი მიიღო, მან კერძო ექიმს აამერ ჰანს მიმართა.

ჰანმა გოგონას დამატებითი კუნთქვეშა სარძევე ჯირკვლის ქსოვილი დაუდგინა და მის მოსაშორებლად ოპერაცია გაუკეთა. ზედმეტი სარძევე ჯირკვლების მოცილების შემდეგ ელისს სხეულზე დიდი იარები დარჩა, თუმცა, ამის მიუხედავად, ის თავს ბედნიერად გრძნობს, ვინაიდან მისი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა.

# მასხარამ დედა-შვილი მძარცველისგან საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვა



მასხარა მექსიკის ქალაქ პუებლა-დე-სარაგოსადან შეეცადა, დედა-შვილი მძარცველისგან დაეცვა და სასიკვდილო ჭრილობა მიიღო.

51 წლის უმბერტო როხას ლანდა რესტორანში სადილობდა, როდესაც დაწესებულებაში შეიარაღებული მძარცველი შეიჭრა. მასხარა შეეცადა, დედა და ბავშვი დაეცვა და მძარცველს წყლის დოქი ჩაარტყა. თავდამსხმელმა მას თავში ესროლა და რესტორნიდან გაიქცა და მხოლოდ ერთი მობილური ტელეფონის გატაცება მოახერხა.

ლანდა საავადმყოფოში გადაიყვანეს. ის ერთი დღე ებრძოდა სიკვდილს, მაგრამ საბოლოოდ მაინც გარდაიცვალა. ოჯახმა და მისმა მეგობრებმა საზოგადოებას ფინანსური დახმარების გაწევის თხოვნით მიმართეს, ვინაიდან მათ დასაფლავების ხარჯების გადასახდელი თანხა არ გააჩნდათ. ქალაქის ასეულობით მცხოვრებმა გაიღო თანხა ლანდას უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად, რომელმაც რესტორანში მყოფი ადამიანები საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა სათვალთვალო კამერის ჩანაწერი ნახეს, რომელზეც ჩანს, როგორ გარბის მძარცველი, თუმცა მათ ჯერჯერობით დამნაშავის იდენტიფიცირება და დაკავება ვერ შეძლეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მოსწავლე გოგონამ ფულით სავსე ჩანთა იპოვა და მის მფლობელს დაუბრუნა




კანადის ონტარიოს პროვინციის ქალაქ მილტონში, უფროსკლასელმა გოგონამ მფლობელს ქუჩაში ნაპოვნი ფულით სავსე ჩანთა დაუბრუნა.

17 წლის კაილი მაკდონალდმა ქალაქის მოედანზე ჩანთა შენიშნა, რომელშიც პლასტიკატის პარკები იდო და ყოველ მათგანზე მითითებული იყო, თუ შიგნით რა რაოდენობის თანხა იდო. თანხის საერთო რაოდენობა 30 ათას კანადურ დოლარს შეადგენდა.

თავად გოგონას აღიარებით, ასეთი რაოდენობის ნაღდი ფული მას აქამდე არასოდეს უნახავს.

– პირველი, რაც გავიფიქრე, იყო: „აუუ, ისეა, როგორც კინოში“, – განაცხადა კაილიმ. ის ბებიის დახმარებით პოლიციის უახლოეს განყოფილებაში მივიდა და ნაპოვნი სამართალდამცავებს ჩააბარა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პოლიციამ გაარკვია, რომ ფული სტომატოლოგიურ საავადმყოფოს ეკუთვნოდა და ის მის კანონიერ მფლობელს დაუბრუნეს. მეორე დღეს სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენელი კაილის შეხვდა და ჯილდოს სახით 500 კანადური დოლარის ქვითარი გადასცა.


# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 160 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# გოგა ბითაძე: „იმედი მაქვს, ევრობასკეტზე მეც ვითამაშებ“

ევროლიგის გასული სეზონის ამომავალი ვარსკვლავი გოგა ბითაძე ამჟამად დიდ დროს პეისერსის სათადარიგოთა სკამზე ატარებს. ინდიანას ქართველი ახალბედა დანებებას არ აპირებს, მშვიდად აგრძელებს შრომას და თავის შანსს ელის. ბითაძე მხოლოდ 20 წლისაა, მაგრამ პეისერსის ახალბედას შესანიშნავი სივი აქვს „ბებერ კონტინენტზე“.

მართალია, ლუკა დონჩიჩის მსგავსი მწვერვალებისთვის არ მიუღწევია, მაგრამ ევროპის 3 ქვეყანასა და 4 კლუბში ითამაშა, ევროლიგა ტრამპლინად გამოიყენა და ახლა ინდიანას კალათბურთელია.

გოგა 16 წლიდან პროფესიონალია, ამიტომ მშვიდად ხვდება იმ ფაქტს, რომ საშუალოდ მხოლოდ 9 წუთს თამაშობს და 3 ქულასა და 2 მოხსნაზე მეტი არ აქვს თამაშში. თუმცა, მშვიდად ელის ნეით მაკმილანის როტაციაში თავის ადგილს.

მან ასევე კარგად იცის, რომ ყოველთვის უნდა ჰქონდეს თავისი კერპის, ზაზა ფაჩულიას იმედი, რომელიც მას, როგორც უფროსი ძმა, ისე ექცევა...

ეს ყველაფერი ქართველ კალათბურთელზე ამერიკულმა მედიამ დაწერა, რასაც ჩვენებურთან ინტერვიუ მოჰყვა.

***– როგორ შეაფასებდით თქვენს სადებიუტო სეზონს ნბა-ში?***

– ვიტყოდი, რომ კარგად, პლუს ვაგრძელებ ნბა-სთან ადაპტაციას. თუ ევროპას შევადარებთ, სრულიად განსხვავებული ლიგაა, ყოველდღე ახალ-ახალ რამეს ვიგებ. ვცდილობ, გავიზარდო, როგორც კალათბურთელი და გუნდს მიზნის მიღწევაში დავეხმარო.

***– ნბა ისეთია, როგორიც წარმოგედგინათ?***

– სანამ ჩამოვიდოდი ამერიკაში, ნბა-ს თამაშებს ხშირად ვუყურებდი. ასე რომ, წარმოდგენა მქონდა, სად მოვდიოდი. მაგრამ, როცა მოედანზე ხარ, მხოლოდ მაშინ აღმოაჩენ, რომ აქ თამაში გაცილებით სწრაფია. ეს ალბათ ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო ჩემთვის.

***– ადაპტაციის პროცესში ყველაზე რთული რა არის?***

– ბევრი თამაშია, ამასთან ხშირად და რიტმის შენარჩუნება რთულია. თანაც, ყოველი დაპირისპირება განსხვავებულია. მწვრთნელი და გუნდელები ყოველთვის მეხმარებიან და მიადვილებენ ცხოვრებას. ყველაფერი მართლა კარგად არის.

***– სეზონის დასაწყისში მეტი სათამაშო დრო გქონდათ, ვიდრე ახლა, როგორ უმკლავდებით ამას?***

– მწვრთნელის გადასაწყვეტია, რამდენს ვითამაშებ. მზად უნდა ვიყო, როდესაც ჩემს გვარს გამოაცხადებს. არაფერი რთული ამაში არ არის.

***– რა უნდა მოიმოქმედოთ, რომ როტაციას დაუბრუნდეთ?***

– გავაგრძელო შრომა, უფრო მეტად, ვიდრე აქამდე. ვიცი, ჩემი დროც მოვა.

***– როგორ ფიქრობთ, საკმარისად მოგამზადათ ევროლიგამ ნბა-სთვის?***

– ცხადია, რომ ევროლიგა ძალიან დამეხმარა. ევროლიგა, ალბათ, მსოფლიოში მე-2 ლიგაა სიძლიერით. ევროლიგაში გამოცდილი კალათბურთელებისა და ნამდვილი ვარსკვლავების წინააღმდეგ მიწევდა თამაში. სწორედ პოდ-



გორიცაში თამაშის დროს მივხვდი, რომ ძალების მოსინჯვა ოკეანის გაღმაც შემეძლო.

***– ევროლიგა და ნბა – რა არის ყველაზე დიდი განსხვავება?***

– ფიზიკური ორთაბრძოლები ევროპაშიც სერიოზულია, ძალზე სერიოზული. აი, სისწრაფეში კი დიდი სხვაობაა. ევროპა დაცვა და მოწინააღმდეგის შეჩერებაა, ამერიკა კი სირბილი და ქულების ჩაგდებაა.

***– ძნელია დაცვითი კალათბურთიდან ლიაზე გადასვლა?***

– კალათბურთი ასეთია – ნებისმიერ ლიგაში დაცვა მნიშვნელოვანია, აქ თამაში უფრო დიდხანს გრძელდება. თუმცა ნბა ცალსახად საუკეთესო საკალათბურთო ლიგაა, ის დომინანტია.

***– თქვენი პროფესიული კარიერა ვითიბი ლიგაში დაიწყო, თბილისში. ასე ახალგაზრდულ ასაკში პროფესიონალებთან თამაში წაგადგათ ამერიკისთვის?***

– თავიდან ძალიან მიჭირდა, მაგრამ ყველა სირთულე ახლა ყოველდღიურად მადგება ცხოვრებაში. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ასაკში ნბა-ს მოთამაშე ვარ.

***– როგორ ეგუებით უფრო ინტენსიურ ცხოვრებას ამერიკაში?***

– ძალიან ბევრი მატჩი და ბევრი მგზავრობა გვიწევს. ბიჭები მეხმარებიან. მაგრამ ერთიცაა – დავფრინავთ კერძო თვითმფრინავით და არ ველოდებით, ვჩერდებით ბრწყინვალე სასტუმროებში, ცხოვრება მშვენიერია. უფრო იოლია, ვიდრე ევროპაში.

***– ზაზა ფაჩულიამ გვითხრა, რომ შენ ნაკრების მომავალი ლიდერი ხარ, თამასა ძალიან მაღალია...***

– მზად ვარ, ჩემს ქვეყანას დავეხმარო, როცა დავჭირდები. ეროვნულ ნაკრებში გულით ვთამაშობ, ძალებს არ ვზოგავ. ძალიან კარგად ვიცი, რომ ჯერ ბევრი მიკლია, რომ ნაკრების ვარსკვლავი მეწოდოს და ზაზას დონეზე ვთამაშობდე.

***– ნაკრებში თორნიკე შენგელია, გიორგი შერმადინი, თქვენ – ფარქვეშ პრობლემები არ უნდა იყოს.***

– დიახ, ჩვენ დიდი გუნდი გვყავს. თანაც, მომავალი ევრობასკეტი საქართველოში ჩატარდება, ეს კი დიდი უპირატესობაა. იმედი მაქვს, ევრობასკეტზე მეც ვითამაშებ.

# უქმეების ეპიცენტრი რომშია

**სტატისტიკა, ფსონები**



უქმეების მთავარი ცენტრი რომშია, სადაც სერია ა-ს პირველადგილოსანი მილანის ინტერი ლაციოს ესტუმრება. რომაელები ლიდერს მხოლოდ ქულით ჩამორჩებიან...

საინტერესო მატჩი იქნება ლონდონშიც – ჩელსი „სტემფორდ არენაზე მანჩესტერ იუნაიტედს დაუხვდება.

## ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 15.02 საუთჰემპტონი-ბარნლი | 1.82 | 3.65 | 4.50 |
| 15.02 ნორვიჩი-ლივერპული | 10.00 | 5.60 | 1.30 |
| 16.02 ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 3.80 | 3.60 | 1.96 |
| 16.02 არსენალი-ნიუკასლი | 1.45 | 4.40 | 7.50 |
| 17.02 ჩელსი-მანჩესტერი | 1.85 | 3.60 | 4.35 |
| 19.02 სიტი-ვესტ ჰემი | 1.14 | 9.25 | 17.25 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 25 | 24 | 1 | 0 | 60-15 | 73 |
| 2.სიტი | 25 | 16 | 3 | 6 | 65-29 | 51 |
| 3.ლესტერი | 25 | 15 | 4 | 6 | 54-26 | 49 |
| 4.ჩელსი | 25 | 12 | 5 | 8 | 43-34 | 41 |
| 5.შეფილდი | 26 | 10 | 9 | 7 | 28-24 | 39 |
| 6.ტოტენჰემი | 25 | 10 | 7 | 8 | 40-32 | 37 |
| 7.ევერტონი | 26 | 10 | 6 | 10 | 34-38 | 36 |
| 8.მანჩესტერი | 25 | 9 | 8 | 8 | 36-29 | 35 |
| 9.ვულვზი | 25 | 8 | 11 | 6 | 35-32 | 35 |
| 10.არსენალი | 25 | 6 | 13 | 6 | 32-34 | 31 |
| 11.ბარნლი | 25 | 9 | 4 | 12 | 28-38 | 31 |
| 12.ნიუკასლი | 25 | 8 | 7 | 10 | 24-36 | 31 |
| 13.საუთჰემპტონი | 25 | 9 | 4 | 12 | 31-46 | 31 |
| 14.კრ.პალასი | 26 | 7 | 9 | 10 | 23-32 | 30 |
| 15.ბრაიტონი | 26 | 6 | 9 | 11 | 31-38 | 27 |
| 16.ბორნმუთი | 26 | 7 | 5 | 14 | 26-40 | 26 |
| 17.ასტონ ვილა | 25 | 7 | 4 | 14 | 32-47 | 25 |
| 18.ვესტ ჰემი | 25 | 6 | 6 | 13 | 30-43 | 24 |
| 19.უოტფორდი | 26 | 5 | 9 | 12 | 24-40 | 24 |
| 20.ნორვიჩი | 25 | 4 | 6 | 15 | 24-47 | 18 |

## გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 15.02 უნიონი-ლევერკუზენი | 3.70 | 3.60 | 2.00 |
| 15.02 ლაიფციგი-ვერდერი | 1.28 | 6.00 | 10.00 |
| 15.02 აუგსბურგი-ფრაიბურგი | 2.08 | 3.60 | 3.45 |
| 15.02 პადერბორნი-ჰერტა | 2.75 | 3.35 | 2.60 |
| 15.02 ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი | 2.60 | 3.30 | 2.80 |
| 15.02 ფორტუნა-გლადბახი | 3.85 | 3.75 | 1.92 |
| 16.02 კიოლნი-ბაიერნი | 10.00 | 6.50 | 1.26 |
| 16.02 მაინცი-შალკე | 2.85 | 3.30 | 2.55 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 21 | 13 | 4 | 4 | 58-23 | 43 |
| 2.ლაიფციგი | 21 | 12 | 6 | 3 | 53-25 | 42 |
| 3.დორტმუნდი | 21 | 11 | 6 | 4 | 59-32 | 39 |
| 4.გლადბახი | 20 | 12 | 3 | 5 | 38-23 | 39 |
| 5.ლევერკუზენი | 21 | 11 | 4 | 6 | 35-27 | 37 |
| 6.შალკე | 21 | 9 | 8 | 4 | 32-27 | 35 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 21 | 10 | 3 | 8 | 31-32 | 33 |
| 8.ფრაიბურგი | 21 | 9 | 5 | 7 | 30-30 | 32 |
| 9.აინტრახტი | 21 | 8 | 4 | 9 | 36-31 | 28 |
| 10.ვოლფსბურგი | 21 | 7 | 7 | 7 | 25-26 | 28 |
| 11.უნიონი | 21 | 8 | 2 | 11 | 25-32 | 26 |
| 12.აუგსბურგი | 21 | 7 | 5 | 9 | 33-44 | 26 |
| 13.კიოლნი | 20 | 7 | 2 | 11 | 27-38 | 23 |
| 14.ჰერტა | 21 | 6 | 5 | 10 | 25-37 | 23 |
| 15.მაინცი | 21 | 7 | 0 | 14 | 31-48 | 21 |
| 16.ფორტუნა | 21 | 4 | 5 | 12 | 20-42 | 17 |
| 17.ვერდერი | 21 | 4 | 5 | 12 | 25-48 | 17 |
| 18.პადერბორნი | 21 | 4 | 4 | 13 | 26-45 | 16 |

## ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 15.02 მალიორკა-ალავესი | 2.54 | 3.05 | 3.10 |
| 15.02 ბარსელონა-ხეტაფე | 1.47 | 4.40 | 7.20 |
| 15.02 ვილიარეალი-ლევანტე | 1.55 | 4.25 | 6.00 |
| 15.02 გრანადა-ვალიადოლიდი | 2.58 | 2.90 | 3.20 |
| 16.02 სევილია-ესპანიოლი | 1.64 | 3.80 | 5.80 |
| 16.02 ლეგანესი-ბეტისი | 2.55 | 3.05 | 3.05 |
| 16.02 ეიბარი-სოსიედადი | 2.75 | 3.25 | 2.65 |
| 16.02 ბილბაო-ოსასუნა | 2.10 | 3.10 | 4.00 |
| 16.02 რეალი-სელტა | 1.30 | 5.70 | 10.00 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 23 | 15 | 7 | 1 | 44-14 | 52 |
| 2.ბარსელონა | 23 | 15 | 4 | 4 | 55-28 | 49 |
| 3.ხეტაფე | 23 | 12 | 6 | 5 | 35-20 | 42 |
| 4.ატლეტიკო | 23 | 10 | 9 | 4 | 23-15 | 39 |
| 5.სოსიედადი | 23 | 11 | 4 | 8 | 39-31 | 37 |
| 6.სევილია | 23 | 11 | 6 | 6 | 29-23 | 39 |
| 7.ვალენსია | 23 | 10 | 7 | 6 | 33-32 | 37 |
| 8.ვილიარეალი | 23 | 10 | 5 | 8 | 40-31 | 35 |
| 9.ბილბაო | 23 | 7 | 10 | 6 | 23-19 | 31 |
| 10.გრანადა | 23 | 9 | 3 | 11 | 27-30 | 30 |
| 11.ლევანტე | 23 | 9 | 2 | 12 | 29-34 | 29 |
| 12.ოსასუნა | 23 | 6 | 10 | 7 | 30-32 | 28 |
| 13.ბეტისი | 23 | 7 | 7 | 9 | 32-37 | 28 |
| 14.ალავესი | 23 | 7 | 6 | 10 | 25-33 | 27 |
| 15.ვალიადოლიდი | 23 | 5 | 11 | 7 | 19-25 | 26 |
| 16.ეიბარი | 23 | 6 | 6 | 11 | 22-32 | 24 |
| 17.სელტა | 23 | 4 | 8 | 11 | 19-32 | 20 |
| 18.მალიორკა | 22 | 5 | 3 | 14 | 22-38 | 18 |
| 19.ლეგანესი | 23 | 4 | 6 | 13 | 18-38 | 18 |
| 20.ესპანიოლი | 23 | 4 | 6 | 13 | 19-40 | 18 |

## იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 15.02 ლეჩე-სპალი | 2.28 | 3.40 | 3.15 |
| 15.02 ბოლონია-ჯენოა | 1.92 | 3.50 | 4.10 |
| 15.02 ატალანტა-რომა | 1.87 | 4.00 | 3.80 |
| 16.02 უდინეზე-ვერონა | 2.65 | 3.15 | 2.85 |
| 16.02 იუვენტუსი-ბრეშა | 1.21 | 6.50 | 14.50 |
| 16.02 სამპდორია-ფიორენტინა | 2.75 | 3.10 | 2.75 |
| 16.02 სასუოლო-პარმა | 2.12 | 3.40 | 3.55 |
| 16.02 კალიარი-ნაპოლი | 3.75 | 3.75 | 1.94 |
| 16.02 ლაციო-ინტერი | 2.50 | 3.30 | 2.90 |
| 17.02 მილანი-ტორინო | 1.68 | 3.80 | 5.20 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 23 | 16 | 6 | 1 | 48-20 | 54 |
| 2.იუვენტუსი | 23 | 17 | 3 | 3 | 44-23 | 54 |
| 3.ლაციო | 23 | 16 | 5 | 2 | 53-20 | 53 |
| 4.ატალანტა | 23 | 12 | 6 | 5 | 61-31 | 42 |
| 5.რომა | 23 | 11 | 6 | 6 | 42-30 | 39 |
| 6.ვერონა | 23 | 9 | 7 | 7 | 28-24 | 34 |
| 7.ბოლონია | 23 | 9 | 6 | 8 | 37-36 | 33 |
| 8.კალიარი | 23 | 8 | 8 | 7 | 38-35 | 32 |
| 9.პარმა | 23 | 9 | 5 | 9 | 31-30 | 32 |
| 10.მილანი | 23 | 9 | 5 | 9 | 25-31 | 32 |
| 11.ნაპოლი | 23 | 8 | 6 | 9 | 36-34 | 30 |
| 12.სასუოლო | 23 | 8 | 5 | 10 | 38-38 | 29 |
| 13.ტორინო | 23 | 8 | 3 | 12 | 27-42 | 27 |
| 14.ფიორენტინა | 23 | 6 | 7 | 10 | 26-34 | 25 |
| 15.უდინეზე | 23 | 7 | 4 | 12 | 20-36 | 25 |
| 16.სამპდორია | 23 | 6 | 5 | 12 | 25-38 | 23 |
| 17.ლეჩე | 23 | 5 | 7 | 11 | 30-44 | 22 |
| 18.ჯენოა | 23 | 4 | 7 | 12 | 24-43 | 19 |
| 19.ბრეშა | 23 | 4 | 4 | 15 | 21-42 | 16 |
| 20.სპალი | 23 | 4 | 3 | 16 | 17-40 | 15 |

## საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 15.02 ამიენი-პსჟ | 8.00 | 5.20 | 1.37 |
| 15.02 ნიმი-ანჟე | 2.75 | 3.10 | 2.75 |
| 15.02 ტულუზა-ნიცა | 2.55 | 3.30 | 2.85 |
| 15.02 ბორდო-დიჟონი | 1.87 | 3.30 | 4.80 |
| 15.02 ნანტი-მეცი | 1.97 | 3.15 | 4.50 |
| 16.02 ლიონი-სტრასბური | 1.77 | 3.50 | 5.00 |
| 16.02 ბრესტი-სტ.ეტიენი | 2.80 | 3.20 | 2.67 |
| 16.02 რეიმსი-რენი | 2.65 | 2.90 | 3.05 |
| 16.02 ლილი-მარსელი | 2.28 | 3.15 | 3.40 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 24 | 20 | 1 | 3 | 63-17 | 61 |
| 2.მარსელი | 24 | 14 | 7 | 3 | 33-21 | 49 |
| 3.რენი | 24 | 12 | 5 | 7 | 29-22 | 41 |
| 4.ლილი | 24 | 12 | 4 | 8 | 29-25 | 40 |
| 5.მონპელიე | 24 | 10 | 7 | 7 | 32-27 | 37 |
| 6.სტრასბური | 24 | 11 | 3 | 10 | 31-28 | 36 |
| 7.მონაკო | 24 | 10 | 5 | 9 | 40-40 | 35 |
| 8.ბორდო | 24 | 9 | 7 | 8 | 33-26 | 34 |
| 9.ლიონი | 24 | 9 | 6 | 9 | 37-25 | 33 |
| 10.რეიმსი | 24 | 8 | 9 | 7 | 22-19 | 33 |
| 11.ნიცა | 24 | 9 | 6 | 9 | 34-34 | 33 |
| 12.ნანტი | 24 | 10 | 3 | 11 | 25-27 | 33 |
| 13.ანჟე | 24 | 8 | 6 | 10 | 24-32 | 30 |
| 14.ბრესტი | 24 | 7 | 9 | 8 | 29-31 | 30 |
| 15.სტ.ეტიენი | 24 | 8 | 4 | 12 | 25-38 | 28 |
| 16.მეცი | 24 | 6 | 9 | 9 | 24-32 | 27 |
| 17.დიჟონი | 24 | 6 | 7 | 11 | 22-29 | 24 |
| 18.ნიმი | 24 | 6 | 6 | 12 | 24-37 | 24 |
| 19.ამიენი | 24 | 4 | 8 | 12 | 25-43 | 20 |
| 20.ტულუზა | 24 | 3 | 4 | 17 | 21-49 | 13 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## ალექსანდრე გოგილაშვილის ხსოვნას



აფსუს, ბიჭო, ალე, რა შეუსაბამო და შეუფერებელი იყო შენი სიცოცხლის დასასრული...

ცხოვრება გიხაროდა. ჯეელობიდან სიჭარმაგემდე კი არ დადიოდი, დაფრინავდი, თვალებიდან და ხელ-ფეხიდან ცეცხლი გცვიოდა.

გოგილაშვილთა სანაქებო გვარს ისე მისდევდი, როგორც ცხენი სადავეს. ღირსეული წინაპრების გენი მოგდგამდა, მამულის სიყვარული კი მშობლებიდან დაგყვა.

ორი დის საფიცარი ძმა იყავი. სიქველითა და სიმართლით ყელამდე სავსე ციცინო ხომ თან გადაგყვა.

შენი მოწონებული და არჩეული ლეილა ჭავჭანიძე ძალიან სათნო მეუღლე გამოდგა.

რა დასანანია, რომ სამი ლომივით ვაჟკაცის შამქმნელ-მშობელთ შვილიშვილი არ გეღირსათ.

რა გულდასაწყვეტია, რომ ლეილა უფრო ადრე წავიდა ამქვეყნიდან. ბიჭებიც დარჩიეთიდან თბილისში გადმოვიდნენ.

მაღალმთიანი სოფლის ჯანსაღი ჰაერით ფილტვებდაბერილს, აქ ჟანგბადის აპარატი გედგა და იმით სუნთქავდი.

ცხოვრების ჭაპანს ველარ, მაგრამ სიგარეტს გამალებით ეწეოდი... ჯავრის გადასაყრელად სხვა გზა, სხვა ხსნა აღარ დაგრჩა.

მეუღლის დაკარგვის შემდეგ ჯერ სიცოცხლე, მერე კი სიკვდილი აღარ გინდოდა.

გულზე ხელის დადებით დაფიცება არასოდეს დაგჭირვებია ცხოვრებაში. შენი, როგორც ნაღდი ვაჟკაცისა, ყველას სწამდა და სჯეროდა. ახლა კი ყელზე ხელს იდებდი სალაპარაკოდ...

ალალსა და ძალიან გულწრფელ მემკვიდრეს, წარმოუდგენლად მიგაჩნდა მშობლიური კერის მიტოვება, ადგილის დედის დაკარგვა. შვილებსაც და მომავალ თაობასაც ამას ჩასჩიჩინებდი. ბევრი თმენითა და გამოუთქმელი დარდით სავსე წახვედი...

თავს დასტრიალებს ქარბუქი
საფლავს – სიცოცხლის მძიმეს,
შენთვის მიწაა მსუბუქი,
ჩვენთვის კი ყოფა – მძიმე...

*მედეა მოსულიშვილი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ამერიკული ხალხური მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 2. ავტორიტეტი, გავლენა; 3. ისტორიული სასტუმრო პარიზში; 5. სარეცხი მანქანის გამომგონებელი ამერიკელი ინჟინერი; 6. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი ქვემო ქართლში; 7. თანამდებობის ყიდვა-გაყიდვა კათოლიკურ ეკლესიაში ძველად; 11. საერთაშორისო მოლაპარაკების თითოეული სტადია; 13. გურიასა და აჭარაში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 14. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი; 15. მხარე ბელგიაში; 16. ჩინური ლოგიკური მაგიდის სათამაშო; 17. საფრანგეთში წარმოშობილი არქიტექტურულ-დეკორატიული სტილი; 19. იორდანიის დედაქალაქი; 20. თხუნელას მეორე სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. ძველებური პირფართე ისარი; 4. ფრანგი შანსონიე ქალი; 8. ფუტკრის მიერ გამომუშავებული მოყვითალო ფერის ნივთიერება; 9. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 10. კონსტრუქცია, რომელიც მეთოჯინე მსახიობებს მაყურებლებისგან გამოყოფს; 12. უღელტეხილი კახეთში; 14. აუქციონ „კრისტის“ მფლობელი; 15. შვეიცარიელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 16. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 17. კოვბოების შეჯიბრი; 18. ავტოდრომი იტალიაში; 21. სახელდახელოდ თქმული ლექსი; 22. ვენეციური ნავი; 23. სამონასტრო კომპლექსი კახეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ალფონსი; 2. პირამიდა; 3. ვივიენი; 5. კოსინუსი; 7. კნესეტი; 9. ჰამილტონი; 13. ლიეტუვა; 15. მთიელი; 16. სეგუნი; 18. მძიმე.

**თარაზულად**: 4. კლინკერი; 6. ეპიტაფია; 8. კონოსამენტი; 10. კასტელი; 11. მონე; 12. უტოპია; 14. იმედი; 17. მტილი; 19. ხირსა; 20. ჩუღურეთი; 21. იგლუ; 22. დირექტივა; 23. გერნიკა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. სტელსი; 2. ჩხუტი; 3. რომი; 5. ლეგატი; 7. დურბანი; 11. სქოლიო; 13. არაბული; 14. ბამბა; 15. კოდექსი; 16. რელიქტი; 17. მადერა; 19. აპაჩი; 20. ფიფა.

**თარაზულად**: 1. საჩხერე; 4. ტაბლა; 8. მრუმე; 9. გურუ; 10. ლოტოსი; 12. ებონიტი; 14. ბალი; 15. კინეტიკა; 16. რემბო; 18. სტეკა; 21. დუნია; 22. ტელეფერი; 23. ჩარხილი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


15 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.8718 |
| ევრო | 3.1127 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.7402 |
| 100 რუსული რუბლი | 4.5141 |

## ამინდის პროგნოზი 15 თებერვლისთვის






## 18 თებერვლიდან

მიხეილ კვესელავა
# ნიურნბერგის პროცესი

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## გოგი ალექსი-მესხიშვილი: „განათლება საერთოდ არ არის საქართველოში!“



ასე მიაჩნია მხატვარ გოგი ალექსი-მესხიშვილს, რომელმაც ჟურნალისტებთან ჩვენს ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე ისაუბრა:

– მთავრობა არის არაპროფესიონალი, წინა მთავრობა იყო არაპროფესიონალი. ქვეყანაში არაფერი არ კეთდება განათლებისთვის, ქვეყანაში არაფერი არ კეთდება კულტურისთვის. ამ პატარა ქვეყანას მეტი არაფერი არა აქვს. გაქურდულია მთელი ქვეყანა.

ჩემს მაგალითზე გეტყვით, როცა მნიშნავდნენ აკადემიის რექტორად, რომელსაც ფეხზე დავაყენებდი, პოლიტიკური მიზნების გამო არ დამნიშნეს და ახლა რას ჰგავს იქაურობა, ნახეთ.

განათლება საერთოდ არ არის საქართველოში!

## ნუგზარ შარია ოსკარების ჟიურის თავმჯდომარედ აირჩიეს



ქართველი მსახიობი ნუგზარ შარია, რომელიც წლებია ამერიკაში ცხოვრობს, ოსკარების ჟიურის თავმჯდომარედ აირჩიეს.

ინფორმაცია მისმა შვილმა, რუსთაველის თეატრის მსახიობმა, ზურა შარიამ, გაავრცელა:

– იმდენად, რამდენადაც „ჟურნალისტებს“ პოლიტიკური სკანდალის გარდა, აღარაფერი აინტერესებთ და იოლი გზა ნახეს რეიტინგისთვის, მე გამცნობთ, რომ ა.წ. 5 იანვარს, ლოს ანჟელესში, ოსკარების ჟიურის შეკრებაზე, ჟიურის თავმჯდომარედ, ფარული კენჭისყრით, ნუგზარ შარია იქნა არჩეული.

ნუგზარ შარიას კანდიდატურა სტივენ სპილბერგმა წარადგინა! ნოემბერში ნუგზარ შარია უჟგორდში იყო მიწვეული და იქ მიიღო ოსკარების ჟიურის მიწვევა. თავმჯდომარედ არჩევამ კი ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

ვულოცავ საქართველოს და შარიებს ამ წარმატებას!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ასტროპროგნოზი



## 15 თებერვლისთვის

**ვერძი** – ნებისმიერი ფინანსური ოპერაციისათვის შეუფერებელი დღეა. არ იაქტიუროთ. **კური** – ემოციები შეიკავეთ. აგიმაღლდებათ შრომისუნარიანობა. **ტყუპები** – პიროვნული მომხიბვლელობა ახალი საქმიანი კონტაქტების დამყარებაში დაგეხმარებათ. მამაკაცებს პირად ცხოვრებაში პრობლემები გექმნებათ. **კირჩხიბი** – ნებისმიერ საქმეს წარმატებით შეასრულებთ. ნუ ეცდებით ზედმეტი პასუხისმგებლობის აღებას. **ლომი** – გელით საინტერესო შეხვედრები. სასარგებლოა კოლექტიური საქმიანობა. **ქალწული** – წინააღმდეგობრივი დღეა. ფული მომჭირნედ ხარჯეთ. საყიდლებზე წასვლას დღეს არ გირჩევთ. **სასწორი** – შესაძლოა სამსახური ან შემოსავლის წყარო შეგეცვალოთ. მზად იყავით ახალი შემოთავაზებებისათვის. **მორიელი** – შემოქმედებითი დღეა. თვითრეალიზაციას მშვენივრად ახერხებთ. სასიამოვნო იქნება ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობა. **მშვილდოსანი** – კომერციულ სფეროში გიმართლებთ. ნუ გარისკავთ. **თხის რქა** – პატიოსნად იშრომეთ, ნურავის მოატყუებთ. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. **მერწყული** – პერსპექტიული დღეა. გეგმების განხორციელებაში პლანეტები ხელს გიწყობენ. **თევზები** – იმედი გიცრუვდებათ. ნურაფერს დაგეგმავთ. მოვლენები არ დააჩქაროთ.

## 16 თებერვლისთვის

**ვერძი** – რთული დღეა. მოთმინება გმართებთ. საბოლოოდ მიზანს მაინც მიაღწევთ. **კური** – საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. გამოიჩინეთ ინიციატივა და სიმტკიცე. **ტყუპები** – ყველასთან გულახდილი ნუ იქნებით. კეთილისმყოფელი დღეა მივლინებებისათვის, სამოგზაუროდ. **კირჩხიბი** – საქმიანი პარტნიორებისაგან ხელსაყრელ შემოთავაზებას ელოდეთ. იყავით მადლიერი. **ლომი** – ყველაზე ჩახლართული სიტუაციებიდანაც კი გამოსავალს იპოვით. ენერგიულად ხართ. **ქალწული** – დღეს ძალზე მნიშვნელოვანია ოჯახში ემოციური ატმოსფერო, რაც პირად ცხოვრებაში წარმატებას განაპირობებს. **სასწორი** – მოვლენები თქვენი გეგმის მიხედვით არ განვითარდება. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და მოთმინება. **მორიელი** – ინტუიცია საკმაოდ გაგიმახვილდებათ. ნუ აჩქარდებით. საქმე დინჯად აკეთეთ. **მშვილდოსანი** – პოზიტიური დღეა. ჩანაფიქრის რეალიზაციას ბრწყინვალედ ახერხებთ. **თხის რქა** – დეპრესია გიტევთ. უსაქმოდ ნუ გაჩერდებით. ცდუნებას არ აჰყვეთ. **მერწყული** – მოულოდნელად მიღებული ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. ნუ იქნებით სუბიექტური. **თევზები** – დაეხმარეთ მეგობრებს, ახლობლებს, თუმცა საკუთარ საქმესაც ნუ დაივიწყებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# იუმორი

ახლად დაქორწინებულების პირველი ღამეა. მოულოდნელად პატარძალმა გააკუა, სირცხვილისგან სახე აწითლებული წამოდგა, ჩაიცვა და თავისი ნივთების ჩალაგება დაიწყო.

ქმარი გაოცებული უყურებს და ბოლოს ეკითხება:

– რას აკეთებ?

აცრემლებული ცოლი პასუხობს:

– მივდივარ.

– ვერ გავიგე... რა, აქ გასაკუებლად მოხვედი?!

●●●

მოსამართლე ბრალდებულს ეკითხება:

– რატომ გაძარცვეთ ერთი და იგივე მაღაზია სამჯერ?

– ბატონო მოსამართლევ, თავიდან კაბა მოვიპარე ჩემი შეყვარებული გოგონასთვის, მაგრამ თავადაც ხომ მოგეხსენებათ ქალების ამბავი, ორჯერ მომიწია კაბის გამოცვლა.

მოსამართლე:

– თავისუფალი ხართ!

●●●

ბარში მამაკაცი შევიდა, რომელსაც ორივე ხელი თაბაშირში აქვს ჩასმული. ბარმენთან მივიდა და ეუბნება:

– შეგიძლიათ, რომ ჩემი ჯიბიდან ლუდისთვის ფული ამოიღოთ?

– როგორ არა.

– მაპატიეთ და იქნებ კათხა პირთან მომიტანოთ, რომ დალევა შევძლო.

– დიახ, როგორ არა.

რამდენიმე კათხა ლუდის შემდეგ მამაკაცი ბარმენს ეკითხება:

– აქ ტუალეტი სად არის?

– აქედან ორ კვარტალში...

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– გუშინ გადავწყვიტე, რაიმე განსაკუთრებული კერძი მომემზადებინა ღვინით.

– მერე?

– ჯერ ერთი გავსინჯე და მჟავე გამოდგა, მეორე – ტკბილი, მესამე – მაგარი. მეორე ბოთლის შემდეგ ვერ გავიგე, რომ ასეთ ლამაზ ქალს საერთოდ სამზარეულოში რა მინდოდა?

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## პოლ პოგბას იუვენტუსში დაბრუნება სურს



მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგ ნახევარმცველს პოლ პოგბას კვლავ სურს იუვენტუსში დაბრუნება. ამის შესახებ ინფორმაცია ინგლისურ მედიაში ვრცელდება.

პოგბა ამჟამად ტრავმირებულია და ის მოედანზე მალე უნდა დაბრუნდეს, თუმცა უკვე დიდი ხანია, ვრცელდება ჭორები იმის შესახებ, რომ მას მანჩესტერ იუნაიტედში თამაში აღარ სურს.

იუვენტუსში პოგბა 2016 წლამდე თამაშობდა და სწორედ ამ გუნდიდან გადავიდა ის მანჩესტერში, მისი ტრანსფერი კი 100 მილიონი ევრო დაჯდა.

პოგბამ მოლოდინი ბოლომდე ვერ გაამართლა.

## ივან რაკიტიჩი: „მინდა, ნეიმარი ჩემი თანაგუნდელი იყოს“



ბარსელონას ხორვატმა ნახევარმცველმა ივან რაკიტიჩმა ნეიმარზე ისაუბრა და თქვა, რომ ის სიამოვნებით ითამაშებდა ნეიმარის გვერდით კიდევ ერთხელ, რადგან ნეიმარი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია:

– მასთან ერთად 3 წელი გავატარე და ყოველთვის უდიდესი სიამოვნება იყო ნეიმარის გვერდით თამაში. მას საოცარი ტექნიკა და მოედნის ხედვა აქვს და, რა თქმა უნდა, მინდა, რომ ის კვლავ ჩემი თანაგუნდელი გახდეს, თუმცა არ ვიცი, ეს რამდენად რეალურია.

## კურტ ზუმა: „მოურინიომ ნაგავი მიწოდა“



ფრანგმა ცენტრალურმა მცველმა კურტ ზუმამ ის პერიოდი გაიხსენა, როდესაც ჩელსის მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო იყო და თქვა, რომ ერთ-ერთი წაგებული თამაშის შემდეგ მას მოურინიომ ნაგავი უწოდა:

– მახსოვს ჟოზემ ოფისში დამიბარა და მითხრა, რომ თამაშში ნაგავივით გამოვიყურებოდი. თავიდან ძალიან გავბრაზდი, მაგრამ, შემდეგ რომ გავიაზრე, მივხვდი, რომ ეს სიმართლე იყო და შემდეგი შეხვედრა გაცილებით უკეთ ჩავატარე. მოურინიოს სიმართლის თქმა პირდაპირ უყვარდა ხოლმე.

## ბარსელონა ლაუტარო მარტინესში 110 მილიონს იხდის



ბარსელონა მზად არის ინტერის არგენტინელ ფორვარდში ლაუტარო მარტინესში 110 მილიონი გადაიხადოს და კატალონიელები ამ ტრანსფერით სერიოზულად არიან დაინტერესებულები.

მარტინესი ინტერის ერთ-ერთი ლიდერია და მილანელები მას იოლად არ დათმობენ. მარტინესის ბარსელონაში გადმოსვლა ძალიან უნდა ლიონელ მესის, რომელიც ლაუტაროს არგენტინის ნაკრებიდან კარგად იცნობს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## „მაკდონალდსის“ მოლარემ პლაჟის ფოტოები გამოაქვეყნა და გამდიდრდა

„მაკდონალდსის“ ქსელის ერთ-ერთი რესტორნის მოლარემ სოციალურ ქსელებში შვებულების დროს პლაჟზე გადაღებული საკუთარი ფოტოსურათები გამოაქვეყნა და გამდიდრდა.

23 წლის ტანია მაკდონელი, ინგლისის ქალაქ ჰოუტონ ლე სპრინგიდან, სავაჭრო ცენტრში მდებარე სწრაფი კვების რესტორანში მუშაობდა. დაახლოებით ერთი წლის წინ გოგონამ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელიც, საცურაო კოსტიუმში გამოწყობილმა, დუბაიში დასვენების დროს გადაიღო.

ფოტოსურათმა მანჩესტერის სამოდელო სააგენტოს ყურადღება მიიპყრო. მალე მაკდონელმა მასთან კონტრაქტი გააფორმა და მოდელის კარიერა დაიწყო. შემდეგ მას სხვა უფრო ცნობილ სააგენტოებთან შესთავაზეს თანამშრომლობა.

ამ დროისთვის გოგონა მთელ მსოფლიოში ცნობილი მოდური ბრენდების სარეკლამო კამპანიებში მონაწილეობს. გავრცელებული ინფორმაციით, მისი ხელფასი დღეში ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს.



## თათია კობალაძე თურქულ „ვოისს“ გამოეთიშა

ქართველი მომღერალი თათია კობალაძე თურქულ „ვოისს“ გამოეთიშა. მან შეძლო და ურთულესი ტურები წარმატებით გაიარა, მეოთხედფინალშიც მოხვდა, თუმცა ნახევარფინალში გადასვლა ველარ მოახერხა.

ნახევარფინალში გადასასვლელად მან ტინა ტერნერის ერთ-ერთი ცნობილი ჰიტი შეასრულა, მწვრთნელებმა ის ძალიან შეაქეს, თუმცა მისი პროექტიდან გაშვების გადაწყვეტილება მიიღეს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*



*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მხარე გერმანიაში; 2. რომელიმე სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვა; 3. ციური სხეული; 5. მიუნჰენში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ლუდის ბარი; 7. ესპანელი მხატვარი; 9. სიბერით გამოწვეული დაავადებათა შემსწავლელი მედიცინეს დარგი; 13. მსოფლიოში ყველაზე ღრმა ტბა; 15. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 16. თურქული აბანო; 18. კანიონი ხონის რაიონში.

**თარაზულად:** 4. რბილი, ტყავისძირიანი ქართველ მამაკაცთა ძველებური ფეხსაცმელი; 6. ფრანგი მწერალი ქალის, ჟორჟ სანდის რომანი; 8. კონგრესის შენობა ვაშინგტონში; 10. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი; 11. იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი ფილმის მუსიკის ავტორი; 12. წყალი მყარ მდგომარეობაში; 14. კუთხე საქართველოში; 17. მოქანდაკის ხის საჭრეთელი; 19. საწვავის, წყლის ავზები გემზე; 20. ცოცხლად მშობი თევზი; 21. ადამიანის გარემომცველი ბიოველი; 22. ფრანგული ალუბლის ლიქიორი; 23. ბატის ძველი ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

